



საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო განის ეროვნული არტესტი
«სასოფლო-სამეცნიერო კადენტი, დაცვისა-ქონსელისტისა» და სწავლის
უნივერსიტეტის სამცოდვებელ-საქონსელ-ტუბირ ცენტრის
წარმატებების, აღიარებებისა, აღმართებების და გაცილენება



K 242736
30v

ფინანსურული ბიზუინესი

ლიტერა თარალაზოლი

31 ზოს მოყვარულის ცენტრი

(კალახევარი)

17

2003

ინტერმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტი
ცენტრული საერთაშორისო-საკოორდინაციო ცენტრი

F 80877
3



ლეილა თარალაშვილი


თარალაშვილი ლეილა დავითის ასული, მეცნიერებელი და მწერალი. მას 1952 წლის 20 მარტის დროის დაბადებით დაბადებული იყო. მას დამატებით ცნობილი იყო რეკლამური მუსიკის შემსრულებელი და მუსიკის მასთაბაზობის მიმღები. მას განკუთხული იყო მუსიკის მიმღები და მუსიკის მასთაბაზობის მიმღები.

გაზის მოყვარულის ცნობარი (კალენდარი)

სადედეში, სანერგესა და მსხმოიარე ვენახში
გავრცელებული მავნე ორგანიზმები და მათ წინააღმდეგ
ბრძოლის დონისძიებანი

17
2003

გამომცემლობა „აგროინფორმი“
Edition “Agroinformi”



පරුම්පාරා ප්‍රාග්‍රහණයක් දක්මාරුයාසි ගාල්පෑට් තැබුදුම් නාමිතුවක්
ප්‍රතිඵාතිත්වා දෙන නාම්පෑට් සංඛ්‍යාත්මකයාම්, නාමුරුදුම් නායෝ
නාමුවක් මාත්‍රාවයාම්, මිත්‍ර ගෘත්‍යාවලිතක්වාම්, ගාත්‍රදාම්, තෙවුම නිර්යා
මත්‍රාවලිත වෙනත්වාම්, ජ්‍යෙෂ්ඨ මාත්‍රාව, මාදාල්‍යකාරීන් දා මුළුවග්‍රෑටාද
නුවුතා ප්‍රාග්‍රහණක් මත්‍රාවලිත මිදුවාම්.

ප්‍රාග්‍රහණ මේන්ඩ්‍රෝ දා ඊත්‍රාවයාම් ආව්‍යාරිති මිශ්‍ර මිදුවාප්‍රාග්‍රහණ
මත්‍රාවලිත ග්‍රන්ථවාම්.

උ. තධ්‍රාලාඡ්‍යිලු

ම්‍යෙදාලුවක්, මේන්ඩ්‍රෝවක් දා මුදුවාන්‍යාවක්
ල/ඹ තේර්ඩ්‍රෝ තෙවුම් තෙවුම් තෙවුම් තෙවුම් තෙවුම් තෙවුම් තෙවුම්
මේන්ඩ්‍රෝ දා මුදුවාන්‍යාවක් මේන්ඩ්‍රෝ දා මුදුවාන්‍යාවක්,
කොළඹග්‍රෑට් මේන්ඩ්‍රෝ දා මුදුවාන්‍යාවක් මේන්ඩ්‍රෝ,
ශ්‍රීලංකා මේන්ඩ්‍රෝ මුදුවාන්‍යාවක්

රුපෝත්ත්වාම්: න. ත්‍රිජ්‍යාලා, ප්‍රාග්‍රහණ මත්‍රාවලිත ම්‍යෙදාලුවක්, මේන්ඩ්‍රෝවක්
දා මුදුවාන්‍යාවක් ල/ඹ තේර්ඩ්‍රෝ දා මුදුවාන්‍යාවක්, ල/ඩ මේන්ඩ්‍රෝවක්
දා මුදුවාන්‍යාවක් නාම්පෑට් තෙවුම් තෙවුම් තෙවුම් තෙවුම් තෙවුම් තෙවුම්

රුපාක්ෂ්‍රීත්වාම්: උ. ගිගින්ඩ්‍රෝවක්

කුරුජ්‍රීත්වාම්: ආ. ආචාමිජ්

ISBN 99928-0-570-6

ශාඛාත්මක තැබුදුම්
කාරුණික තැබුදුම්
විනිශ්චයුලු
ඡ්‍යාලු තැබුදුම්

සපේ-2000
ගෞන්ත්‍රග්‍රහණය

შევენახეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირძველი და მაღალშემოსავლიანი დაწერია. მისი აღმავლობითი განვითარებისათვის სრულ შესაძლებლობას იძლევა საქართველოს ეგზომ მრავალფეროვანი, მდიდარი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები. თუმცა უკანასკნელ წლებში, ვენახების საერთო ფართობი არა თუ გაიზარდა, არამედ საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ დღესდღეობით ვენახების გაშენება, ვაზის ეკოლოგიურად უსაფრთხო მოვლა, ტექნიკური პროცესების სრულყოფა არნახული, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. შესაბამისად, ამის ფონზე, აუცილებელია ვაზის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაუმჯობესება უახლესი აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით.

ვაზის დაცვა მავნე ორგანიზმებისაგან არ წარმოადგენს ერთ ცალკეულ აღებულ მეთოდს. იგი საჭიროებს სხვადასხვა მეთოდისა და ხერხის ერთობლიობას, ვაზის კულტურის აგროტექნიკასთან ორგანულად შერწყმას. ვაზის დაცვა ღონისძიებათა კომპლექსია, რომელთა სწორად შერჩევას გადამწყვევი მნიშვნელობა ეძლევა მოსავლის გაზრდის თვალსაზრისით (საკარანტინო, ფიზიკური, მექანიკური, აგროტექნიკური, სელექციური, ბიოლოგიური მეთოდები, მცენარეთა დაცვის საშუალებები).

ვაზის უმოავრეს მავნებელ-ავადმყოფობათა მიმოხილვამდე, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ პესტიციტების გავლენას მავნე ორგანიზმთა რაოდენობის ცვალებადობაზე.

ვესტიციდები, როგორც მაკროორგანიზმების წინააღ-



მდეგ ბრძოლის ერთ-ერთი რადიკალური საშუალება იყო გამოიყენება მავნე მდრღნელების, მწერების, ტკიპების, ლოფორთქინების (ლოკოკინების), ნემატოდებისა, სოკოების, ბაქტერიების, ვირუსების, მიკოპლაზმური ორგანოებისა და სარეველების წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი ბიოლოგიური აქტიურობით ტოქსიკურად მოქმედებენ არა მარტო იმ მავნე ორგანიზმებზე, რომელთა წინააღმდეგაც არიან მიმართულნი, არამედ, ადამიანზე, შინაურ ცხოველებზე, სხვა სასარგებლო ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ობიექტებზე, იწვევენ მათ ცხოველმყოფელობის მოშლას და, ხშირად, ხიკვდილსაც.

მცენარეთა მავნებელ-ავადმყოფობათა და სარეველების წინააღმდეგ, პესტიციდების გამოიყენებას საფუძვლად უდევს მათი სელექციურობა, ანუ შერჩევითი ტოქსიკური მოქმედება. იგი გულისხმობს ერთი სახეობის ან სახეობათა ჯგუფის მიმართ მავნეობას, ხოლო მეორეთა მიმართ – გამძლეობას იგივე შენაერთებისადმი. თვით სახეობის შიგნითაც აღინიშნება მავნე ორგანიზმის გამძლეობა. მაგალითად, სქასის მიხედვით დედლები უფრო გამძლენი არიან, ვიდრე მამლები, განვითარების ფაზების მიხედვით, მწერის კვერცხები და ჰუპრები უფრო გამძლენი არიან მატლებთან შედარებით, ასაკის მიხედვით უფროსი სხოვანების მატლები უფრო მდგრადებია, ვიდრე უმცროსი სხოვანების მატლები და სხვ. ესე იგი გამძლეობა დამახასიათებელია მავნე ორგანიზმის ცხოველმყოფელობასა და ნირისათვის, მისი შეცვლა შხელოდ ამ ორგანიზმის მემკვიდრეობით განეტიკურ აპარატზე ზემოქმედებათაა შესაძლებელი.

გამძლეობა დიდად არის დამოკიდებული, აგრეთვე, წლის სხვადასხვა დროზეც. მაგალითად, მესამთრეო-

ბაში გადასასვლელად მომზადებული მწერის ზრდას რელი ფორმა (იმაგო) და მატლი, ზაფხულის ბოლოს და შემოდგომაზე უფრო მეტ გამძლეობას იჩენს ქიმიური შენაერთების მიმართ, ვიდრე იგივე ფაზების ინდივიდები გაზაფხულზე. ეს განპირობებულია ცხიმოვანი სხეულების დაგროვებით და ზამთრის პერიოდში მისი ხარჯვით. აქედან გამომდინარე, მოსვენების პერიოდში – ფოთოლცვენიდან ვეგეტაციის დაწყებამდე, როცა მავნე ორგანიზმი პასიურ მდგომარეობაშია, არ იკვებება და საზამთრო ბუდეებში ან მცენარეთა ქერქის ქვეშ იმყოფება, განიცდის სახეცვლილებას, ქიმიური წამლობის ჩატარება არაეფექტურია. მაგრამ, თუ ვეგეტაციის წინა პერიოდში, დაზამთრებამდე ადგილი ჰქონდა მავნებელ-დაგადებათა ინტენსურ გავრცელებას, მაშინ, დაზამთრებამდე, შემოდგომაზე, საჭიროების მიხედვით წამლობა უნდა ჩატარდეს სათანადო პესციდიტებით.

პესტიციდებისადმი გამძლეობის გაზრდა აღნიშნება თაობათა მეტი რაოდენობის მოცემ მავნე ორგანიზმებს (ტკიპები, ბუგრები). ამიტომ, პოლივოლინტური მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ საჭიროა სხვადასხვა მოქმედების მექანიზმის მქონე პესტიციდთა მორიგეობით გამოყენება, რათა გახანგრძლივდეს გამძლე პოპულაციების გამრავლება და მათ მიერ მიმდებიანი პოპულაციების ადგილის დაკავების პროცესი.

ცნობილია, რომ პესტიციდები ანადგურებენ რა ვაზის მავნე ორგანიზმებს, ბუნებაში, პარალელურად სპონს სასარგებლო ორგანიზმებსაც (ენტომოფაგებს, აკარიფაგებს). ამიტომ, მათი სისტემატურად და მასობრივად გამოყენებისას, თვალსაჩინოდ მცირდება სასარგებლო პარაზიტების რაოდენობა, რითაც ბათილდება ამ ორგანიზმების სასარგებლო მოქმედება.

პესტიციდების უარყოფითი გავლენა შეინიშნებოდა აგრეთვე, ადამიანისათვის ისეთ სასარგებლო ორგანიზმებზეც, როგორიცაა: აბრეშუმის ჭიათური, თევზები, ფრინველები, ველურად მობინადრე და სხვა უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველები. ამიტომ:

ა) პესტიციდებით სავარგულების დამუშავებისას ფუტკრის სკები იზოლირებული უნდა იქნას დასამუშავებული და დამუშავებული ფართობებიდან; ბ) პესტიციდის ნაშთი არ უნდა მოხვდეს თუთის ხეს და მასთან კონტაქტში მყოფმა პერსონალმა საჭიროა დროებით შეწყვიტოს აბრეშუმის ჭიის მოვლა; გ) პესტიციდების ნაშთის შემცველი წყალი არ უნდა ჩაედინებოდეს მდინარეებსა და წყალსაცავებში; დ) დამუშავებულ ფართობზე გამოცხადდეს კარანტინი.

უკანასკნელ წლებში, პესტიციდების განუკითხავად შემოტანა-რეალიზაციამ და უყაირაოო ხარჯვამ, აშკარად შეცვალა ვაზის მავნე და სასარგებლო მწერებს შორის თანაფარდობა. შესხურებული შხამ-ქიმიკატების ნაწილი რჩება მცენარეზე, ძირითადი რაოდენობა კი ჩაედინება ნიადაგში, აქედან ბიოსფეროს თითქმის ყველა კომპონენტი ბინძურდება.

ნიადაგში პესტიციდები იშლებიან, კარგავენ ტოქსიკური მოქმედების უნარს და განიცდიან დეტოქსიკაციას. დეტოქსიკაციისათვის მთავარია: პესტიციდების აორთქლების უნარი, წყლის ორთქლობის ერთად პაერში გაბნევა, ტემპერატურის გავლენით დაშლა, ულტრაინისფერი სხივებით ფოტოლიზი (ფიტოქიმიური დაშლა), მცენარეების მიერ ფესვების მეშვეობით პესტიციდის შეთვისება, წვიმით დრმა ფენებში ჩარეცხა, გრუნტის წყლებით გატანა და ჰიდროლიზი, მიკროორგანიზმებით დაშლა.

ამრიგად, ზაფხულში მოსალოდნელია რა პესტი-

ციდების დაშლა და ტოქსიკურობის დაქვეთვება მიმდინარეობს ინტენსიური აორთქლებითა და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, ამიტომ მავნებელ-დავადებათა წინააღმდეგ წამლობები უნდა ჩატარდეს დილის ან საღამოს ხათებში.

პესტიციდების ინტენსიური დაშლა მიმდინარეობს ნიადაგში მცხოვრები მიკროორგანიზმების მიერ გამოყოფილი ფერმენტებით. ინსექტიციდებიდან ყველაზე ადვილად და სწრაფად იშლებიან ფოსფორორგანული შენაეროები, კარბამატები, მნელად – ქლორორგანული შენაეროები; პერბიციდები ნიადაგში იშლებიან რა სწრაფად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უარყოფითად არ მოქმედებენ ნიადაგის მიკროფლორაზე. რაც შეეხება ნიადაგის ფუნგიციდებს და ფუმიგანტებს, ისინი მკვეთრად ცვლიან ნიადაგის მიკროფლორის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებლებს, ხოლო ფუნგიციდები მიკრობიოლოგიურ დაშლას მნელად განიცდიან, როგორც ნიადაგში, ისე სხვა არეებშიც.

ვენახის გაშენების ტექნოლოგიაში წამყვან მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ სავენახე ნიადაგისა და ვაზის საძირეების ჰარმონიული შეხამება. აღნიშნული ფაქტორის გაუთვალისწინებლად, მუდამ მოსალოდნელია ვაზის დაზიანება პარაზიტული და არაპარაზიტული დაავადებებით, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ზოგჯერ პრაქტიკულად შეუძლებელია. მცენარეთა დაცვის წამყვან მიმართულებად, ბრძოლის არხებული მეთოდებიდან, პირველ რიგში კვლავ რჩება ეკოლოგიურად მომგებიანი შერჩევა და მათი შეთანაწყობილი გამოყვნება. ამ გზით შესაძლებელი ხდება აცილებული იქნას ერთი რომელიმე ღონისძიებისადმი მავნე ორგანიზმების მიერ რეზისტენტობის ნაა-

დრევი გამოვლინება.

მადლობა ღმერთს, შეიცვალა ადამიანის დამოკიდებულება. იგი შემობრუნდა ვაზისაკენ და წლების წინ აჩეხილი ათასობით პეტრი სავარგულებზე კპლავ დაიწყო სავენახე ვაზის ისეთი უნიკალური ჯიშების განაშენიანება, როგორიცაა: „საფერავი”, „ხიხვი”, „მწვანე”, „კაბერნე”, „რქაწიოვლი”. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ბევრი ნამყენის გარეშე – რქით აშენებს ზვრებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ეს საშიშროებას უქმნის არა მარტო საკუთარი ვენახის მომავალს, არამედ ახლომდებარე სავარგულებსა და, მათ შორის, მთლიანად რეგიონის მევენახეობას. ვენახის რქით გაშენება საუკათხესო წინაპირობებს ქმნის ვაზის ფეხვთა სისტემის კველაზე საშიში მავნებლის – ფილოჭერას გავრცელება-განვითარებისათვის. ნამყენით ვენახის გაშენება კი ამ პრობლემას მთლიანად ხსნის.

ვენახის გაშენებას წინ უნდა უსწრებდეს მოსამზადებელი სამუშაოები – ვაზის მყნობიდან დაწყებული, დამთავრებული ვენახის გაშენებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადედოდ, სანერგედ და სავენახედ შერჩეულ ნიადაგს, მის მომზადებას, მწკრივთა მიმართულების სწორ განსაზღვრას, სარგავი მასალის (ნამყენის) ჯანმრთელობას, მის ხარისხს, ახალგაზრდა ვაზის ფორმირებას და სხვ.

სავენახედ შერჩეული ნაკვეთი, უპირვეულესად უნდა გაიწმინდოს მცენარეული ანარჩენებისაგან, რათა ნიადაგში არ დარჩეს ფეხვის სიდამპლისა და ბაქტერიული კიბოს ინფექციის გამომწვევი საწყისი; ფართობზე, სადაც აღმოჩნდება ფეხვის სიდამპლე მანგჭვალა სოკოს სახით, ვაზის დარგვა დასაშვებია მხოლოდ 5-7 წლის შემდეგ. ვენახების გაშენებაზე

თავი უნდა შევიკავოთ, აგრეთვე, ჩადაბლებულ, ტენის მომსახურის სისტემისას და იქაც, სადაც ნიადაგი და ქვენიადაგი წყიმის წყლის სუსტი გამტარია.

მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია სადედებისა და სანერგეების გაშენება ლამიან ნიადაგზე, სადაც ინტენსიურად მრავლდებიან: ამიერკავკასიის მარმარილოს ღრაჭა, ხვატარი, მავთულა ჭია, ბოსტანა (მახრა). მათი ბიოლოგიური თავისებურებების გამო, აღნიშნულ მავნებლებთან ბრძოლა გამნელებულია. მეორე მხრივ, ლამიანი ნიადაგი ჭრაქის ინტენსიური გავრცელებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო პირობათაგანია.

საღი და მაღალხარისხოვანი ნერგის მისაღებად, მწარმოებელმა პირმა წინასწარ უნდა გაატაროს კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა, როგორც საობურში, ისე სანერგება და სადედები. პირველ ყოვლისა იგი ითვალისწინებს:

1) საძირე ვაზის სადედებისა და საკვირტე მასალის ასაჭრელად შერჩეული ნაკვეთის სანიმუშო მოვლას კვებელაციის განმავლობაში, აგროწესების მიხედვით.

2) ნაკვეთი, დახუტევის ან მავნე ორგანიზმების ძლიერი გავრცელებისა და დაზიანების შემთხვევაში, არ იქნას გამოყენებული სამყნობი კომპონენტების დასამზადებლად.

3) ვაზის ჯიშური სიწმინდის დაცვის მიზნით, საჭიროა მასობრივი სელექციისა და პრობაციის ჩატარება.

4) სანერგისათვის გამიზნულ ნაკვეთში, ნიადაგის პლანტაციების დროს, გამოკვლეული იქნას მავნებელდაგადებათა გავრცელება და რიცხობრიობა, საჭიროე-

ბის შემთხვევაში მათ წინააღმდეგ ჩატარდეს პრძენი დოკუმენტის შესაბამისი დონისძიება.

5) ნერგის მწარმოებელმა, სანერგეში დაიცვას მცენარეთა 5 მინდვრიანი ბრუნვა (უკიდურეს შემთხვევაში 3-4 მინდვრიანი მაინც) შემდეგი ოანმიმდევრობით:

ა) პირველი მინდორი – სანერგე;

ბ) მეორე მინდორი – ადრეული ბოსტნეული, უმჯობესია ბარდა მწვანე სასუქად და ნაოესის აღების შემდეგ იონჯის ან სხვა ბალახების ნარევის თესვა;

გ) მესამე და მეოთხე მინდორი – მრავალწლიანი ბალახები;

დ) მეხუთე მინდორი – სახნავი და სათოხი კულტურების თესვა.

შენიშვნა: დაუშვებელია, კარტოფილისა და პამიდორით წინა წლებში დანაკავებ ნაკვეთში წარმოებული იქნას ვაზის ნერგი, რადგან ნიადაგი შეიძლება იქცეს ნამყენის ფუზარიოზით დაავადების წყაროდ.

ხორბლის, ჭარხლის, კომბოსტოს, კიტრის, ნეხვის, გოგრის, ბოლოკის, სტაფილოს და სხვათა მოყვანის შემთხვევაში, ნერგი მოცემულ ნაკვეთზე შეიძლება დავრგოთ მე-4-ე მე-5-ე წელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდამ მოსალოდნელი იქნება ნამყენის დაზიანება ხვატარებით, მახრებით, მარმარილოს ღრაჭას მატლებით, მავთულა ჭიებით, ხოლო სოკოვანი დაავადებებიდან, ნიადაგი შეიძლება დასენიანდეს ფუზარიოზით, ნაცრისფერი სიდამპლიოთ და სხვ.

ვაზის მიზისძვრა ურბანოპაის მაპებლები

1. ფილოქსერა ვაზის ფესვთა სისტემის ერთ-ერთი აგრესიული და საშიში მავნებელია. საქართველოში იგი რეგისტრირებულია 1881 წლიდან, ხოლო კახეთში

– 1910 წლიდან სოფელ ლელიანში (ლაგოდეხი). ვაზის ფილოქსერა მონოფაგი მწერია. იგი იკვებება როგორც პატარა, ისე გახევებული ვაზის ფესვებით. შედეგად ჩნდება გამონაბერები (ნოდოზიტეტები, ტუბეროზიტეტები). დაზიანებული ფესვები საკვებს ვეღარ აწვდიან მცენარეს. შედეგად ვაზის ფესვთა სისტემა თანდათან სუსტდება, შესაბამისად ვაზი აჩერებს ზრდას, კლებულობს მსხმოიარობა და ბოლოს კვდება.

ფილოქსერას მიმართ მაღალი მგრძნობელობით გამოიჩინა ვაზის შემდეგი ჯიშები: „საფერავი”, „კრახუნა”, „ცოლიკაური”, „კაბერნე”, მაშინ როდესაც „რქაწითელი”, „მწვანე”, „ჩინური”, „ციცქა” – შედარებით მაღალი გამძლეობით ხასიათდებიან. ჯიშთა შედარებითი გამძლეობა მავნებლის მიმართ აიხსნება მათი ფესვების ანატომიური შენების სხვადასხვაობით. მაგალითად, ფილოქსერაგამძლე ვაზის ჯიშების ფესვების ანატომიური აგებულება „უახლოვდება ამერიკული ვაზის ფესვების ანატომიურ აგებულებას, ფილოქსერა არაგამძლე ჯიშებისა კი – ერთობ განსხვავებულია.

საფერავი ფილოქსერას მიერ დაზიანებიდან 2-3 წლის შემდეგ ანელებს ზრდა-განვითარებას, მოსავლიანობას წყვეტს 8-10 წლის შემდეგ, კაბერნე – 9-10 წლის, ხოლო მწვანე – 15-20 წლის შემდეგ.

ფილოქსერას წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური საშუალებაა ფილოქსერაგამძლე საძირეზე ადგილობრივი ჯიშების დამყნობა, რითაც პრობლემა თითქმის გადაჭრილია.

ვაზის მიწისქვეშა მავნებლებიდან, თავიანთი უარყოფითი-სამუშრნეო მნიშვნელობით, ფილოქსერასთან ერთად, უურადღების ღირსია ამიერკავკასიის მარმა-

რა ღრაჭა, მავთულა ჭია, ხვატრები, ბოსტანა (მახშეჭირობები)
მათი ბიოლოგია, მავნეობა, გავრცელება მოცემულია
ქვემოთ.

სამირ ვაზის სადედეში და სანერბაში ბაზრცელებული მავნებლები

სამირ ვაზის სადედეში მავნებლებიდან გავრცელებულია: ვაზის ფოთლის ფილოქსერა, ფოთლისვევია, იშვიათად გვხვდებიან სფინქსებისა და მილმხვევის მატლები. ისინი იკვებებიან ჯერ დაბერილი კვირტებით, შემდეგ მცენარის მწვანე ნაწილებით. ფოთლის ფილოქსერა წუწვნით აზიანებს ვაზის ფოთოლს, ყუნწს, ყლორტს და პწკალს. შედეგად ფოთოლი უფერულდება ქლოროფილის დაშლის გამო, ნაკენ ადგილებში, ფოთლის ქვედა ეპიდერმისზე წარმოიქმნება პარკუჭანები (გალები), რომლებშიც თავსდება ფილოქსერა და დებს კვერცხებს. გალებით ძლიერ დაფარული ფოთლები იკრუნჩხება და ნორმალურად ვეღარ ვთარდება.

სადედეში ფოთლის ფიროქსერას წინააღმდეგ, ვაზის თავიან ფორმებზე, ბრძოლის ფიზიკური მეთოდი უნდა ჩატარდეს კვირტების დაბერვამდე, რისთვისაც ეურება მიწა 20 სმ-ზე კოკოლების სახით. კოკოლების ქვეშ გვიანდება ვეგეტაცია და მეზამორეობიდან გამოსული მატლი საკვების უქონლობის გამო იღუპება.

ბრძოლის ქიმიური მეთოდი. მავნებლის წინააღმდეგ წამლობა ტარდება ყლორტზე 5-7 ფოთლის განვითარებისას 0,1%-იანი კარატებს ან 0,15%-იანი დეცინის ემულსიით. ეფექტიანია, აგრეთვე, 0,2%-იანი ბი-58-ის ან ზოდონის ემულსის შესხერებაც.

ვაზის მიწისქვეშა ორგანოების მავნებლებიდან

სადგდეში, სანერგეში და ახალშენ ვენახში კიბუცებით უფრო საშიში მავნებლები ვრცელდებიან: ხვატარები, ამიერკავკასიის მარმარა ღრაჭა, მავთულა ჭიები და სხვ.

ხვატარებს ზიანი მოაქვს მატლის ფაზაში. იგი აზიანებს კვირტებს შიგთავსის მოლიანად გამოჭმით, ყლორტებს – მოლიანი ან ნაწილობრივი გადაჭრით, ფოთლებს აზიანებს (ხრავს) ზოგჯერ ნაწილობრივ, მოლიანად ძარღვებამდე, ხშირად ძარღვებიანადაც. მავნებელი დაზიანებას იწყებს აპრილიდან და გრძელდება ივლისამდე. წელიწადში იძლევა 1-4 თაობას, სახეობის მიხედვით.

ამიერკავკასიის მარმარილოს ღრაჭა თავს ყველაზე უკეთ ლამიან ნიადაგში გრძნობს, ზამთრობს ნიადაგში – მიწის აკვანში, სხვადასხვა ხნოვანების მატლის ფაზაში. მატლი II-ასაკიდან აზიანებს ვაზის ძველსა და ახალ ფეხვებს, მიწისქვეშა ღეროს სულ რამდენიმე დღეში მოლიანად. სპობს ნამყენს, მრავალწლიან ვაზის შტამბს შიგ გულში ჭრის და ნელ-ნელა ახმობს მას. მავნებელი ხასიათდება 3-5 წლიანი გენერაციით.

ღრაჭას მატლი ნიადაგში პორიზონტალური მოძრაობით ზაფხულის განმავლობაში 1,5-2 მეტრით გადაადგილდება, რაც გამორიცხავს მავნებლის გავრცელებას ვენახიდან ვენახში. მატლი უფრო ინტენსიურად მოძრაობს ნიადაგში გრტიკალურად – ჩადის 10 სმ-დან 60 სმ-მდე სიღრმეში. მატლების მოძრაობის სიღრმითი ცვალებადობა დაკავშირებულია ნიადაგის ტენიონობასა და არახელსაყრელ კლიმატურ პირობებთან.

მარმარა ღრაჭას მატლები ნიადაგში 60 სმ სიღრმეზე ჩადიან გვიან შემოდგომაზე ტემპერატურის დაწევის გამო (გამოზამთრებისათვის) და ზაფხულში

– ნიადაგის ტენიანობის შემცირებისა და ხანგრძლივრი გავალვების, მაღალი ტემპერატურის დროს. ამ დროს მავნებელი გადადის დიაპაზონი (არ იკვებება და ცხოველმყოფელობა შენალებული აქვს). გაზაფხულზე (ნიადაგის ტემპერატურის აწევასთან დაკავშირებით) მავნებელი კვლავ ნიადაგის ზედა ფენაში გადაადგილდება და იწყებს აქტიურ კვებას. ამრიგად, მატლების მიგრაციის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა ეძლევა მათ წინააღმდეგ აგროტექნიკური და მექანიკური ბრძოლის დონისძიებების ჩატარებისათვის. სწორედ ნიადაგის დამუშავება და მატლების ხელით შეგროვებადახოცვა მატლების ნიადაგის ზედა ფენაში ყოფნის მომენტს უნდა შეუფარდოთ.

მავთულა ჭიები (ტკაცუნები) – ზამთრობენ ნიადაგში 10-16 სმ-ის სიღრმეზე. მეზამთრეობიდან გამოდიან ადრე გაზაფზულზე, დაახლოებით მარტის ბოლო რიცხვებში. მავთულა ჭიებს, სახეობის მიხედვით, 3-5 წლიანი გძნერაცია აქვთ. მავნებელი თვალსაჩინო ზარალს იძლევა ვაზის, კარტოფილის, სტაფილოს, ჭარხლის, თამბაქოს, ხახვის, ბამბის, მზესუმზირას და კომბოსტოს დაზიანებისას.

მავთულა ჭია ვაზს დარგვის პირველ წელს აზიანებს სანერგებებსა და ახალშენ ვენახებში. მატლი ჯერ კვირტს აზიანებს, შემდეგ ყლორტს. კვირტს მოლიანად ჭამს, ყლორტს ღრდნის გარედან სიგრძეზე; ზოგი მატლი ყლორტის გულში ძვრება და აზიანებს მას. მავთულა ჭიის მატლები ვაზს მხოლოდ ბაზოებში და კოკონებში აზიანებენ, ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მეთოდი და საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული სანერგებებსა და ახალშენ ვენახებში.

ამრიგად, ზემოთ განხილული ვაზის მავნებლების: ხვატარების, მარმარა ღრაჭების, მავთულა ჭიების წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური დონისძიე-

ბერძინების საჭიროა:

1) ნიადაგის ხვნა, თოხნა, კულტივაცია, კოკოლუბა-
ის თავების გაფხვიერება, ფესვების შეჭრა, პარალე-
ლურად მავნებელთა მატლების ჭუპრების, ხოჭოების
ხელით შეგროვება და განადგურება.

2) ნაკვეთში და მის ახლომდებარე გზებსა და საუ-
რმექტზე სარეველების მოსპობა. ხვატარების გავრ-
ცელების შემთხვევაში, აუცილებელია მოყვავილე
სარეველების, განსაკუთრებით, ხვაროლას მოსპობა,
რადგანაც მავნებლის პეპელა კვერცხებს დებს ხვაროჭ-
ლის ან სხვა სარეველას ფოთლებზე. ამ ღონისძიებ-
ის ჩატარებით მცირდება პეპლების კვერცხების პროდუ-
ქტიულობა და პეპლების კვებისათვის საჭირო
ყვავილების ნებტარი. მავნებლის მასიური გავრცელებ-
ის შემთხვევაში შეიძლება ძველი მექანიკური მეორე-
ბის გამოყენება (ბადაგით პეპელების მიზიდვა და
მოსპობა).

3) შემოდგომაზე მოზამთრე ფაზების წინააღმდეგ (ჰუპრი, მატლი) საჭიროა ნიადაგის დრმა ხვნა (18-20 სმ-ზე) ბეჭდის გადაბრუნებით და საზამთრო რწყვა.

4) გამოზამთრების შემდეგ მატლების წინააღმდეგ ეფექტინია, აგრეთვე, მოშხამულ-მისატყუებებით მასალის შეტანა ნიადაგში სარეველების აღმოცენებამდგ, წინააღმდეგ შემთხვევაში მშიერი მატლები საკვებად სარეველა მცენარეებს გამოიყენებენ და არა ხელოვნურ საკვებს. ჩატარებული დონისძიება ეჭვადებო იქნება.

ვაზის ფეხვის მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური ღონისძიება ჯერ კიდევ არ არის მოლი- ანად გადაწყვეტილი. ამიტომ, სანერგებელი და ახ- ალშენ ვენახებში, ვიდრე ბრძოლის ქიმიურ საშუალე- ბებს გამოვიყენებდეთ, ნამენის დარგვიდან 8-10 დღის შემდეგ ბაზოვებში უნდა შემოწმდეს მავნებლის გავრ- ცელება და რაოდენობა. შემოწმება უნდა ჩატარდეს



დილის და საღამოს საათებში, ღრუბლიან დღეებში კი მთელი დღის განმავლობაში. როცა ბაზოს უმაღლესი გრძივ მეტრზე საშუალოდ ხვატარის 3-ზე მეტი მატლია, მაშინ მწკრივში უნდა შესხურდეს 0,15 %-იანი დეცისის ან კარატეს ემულსია, ხოლო 3-ზე ნაკლები მატლის შემთხვევაში, უმჯობესია მათი ხელით შეგროვება და განადგურება.

ახალშენ ვენახში, დარგვის წინ, ნერგის ფესვები უნდა ჩავასველოთ 0,1%-იანი კარატეს ან 0,15%-იანი ციმბუშის ემულსიაში განზავებული გადამწვარი ნაკლელის ფაფაში და დარგვის შემდეგ ნერგს მიწა მიუყაროს კოკოლების სახით. ამ შემთხვევაშიც კოკოლების ქვეშ შემოწმდება მავნებლის გავრცელების რაოდენობა და იგივე ღონისძიება გატარდება, რაც სანერგეში ბაზოების ქვეშ.

ვინაიდან ვაზის მიწისქვეშა ორგანოების მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი საშუალება ჯერ კიდევ არ არის გამონახული, ამიტომ ხვატარების, მაგთულა ჭიების, მარმარილოს ღრაჭის წინააღმდეგ ნიადაგი, ნამყენის დარგვამდე, უნდა დამუშავდეს გრანულირებული ბაბუდინით (25-40კგ/ჰა), ან გრანულირებული ქლოროპირიფოსით ანუ დურსბანით (25-50კგ/ჰა) საჭიროების მიხედვით.

ვაზის მიწის ზედა ორგანოების მავნებლ-აგადმყოფობა

ვაზის მიწის ზედა ორგანოების დაზიანება მავნებელ-აგადმყოფობათა მიერ თვალსაჩინოა: კვირტების დაბერვისას, ყლორტებზე 3-5 ფოთლის ფაზაში, ყვავილედზე კოკრების განცალკავებისას, დაყვავილებისთანავე, ისვრიმობისა და ყურძნის სიმწიფის ფაზაში.

ჩვენ მხოლოდ უმთავრესებს შევეხებით.

კვირტების დაპერვისას მეზამთრეობიდან გამოდიან და კვირტების დაზიანებას იწყებენ ვაზის ფოთლიხვევიასა და ბუკნას (კვირტის ჭია) მატლები. ბუკნას ძლიერი გავრცელებისას სანაყოფე რქაზე ყველა კვირტი ნადგურდება. დაზიანებულ კვირტს ხვრელი გარედან კარგად ემსხვევა. ორივე მავნებლის წინააღმდეგ ეფექტიანია სარეველების განადგურება, ვაზის გასუფთავება ძველი, ამსკდარი ქერქისაგან და დაწვა, აგრეთვე, მეზამთრეობიდან გამოსული მატლების შეგროვება-განადგურება. რქის გულში დაზამთრებული მატლების მოსპობის მიზნით, საჭიროა ანასხლავის დროულად გატანა და დაწვა.

ქიმიური ღონისძიებებიდან, ფოთლიხვევიას და ბუკნას მატლების წინააღმდეგ, ეფექტიანია ბულდოკის, კარატეს, დეცისის, შერპას ან ზოლონის გამოყენება, როცა ვაზზე საშუალოდ 1,5 ცალზე მეტი მატლი და ხოჭო არის დასახლებული.

ყლორტზე 3-5 ფოთლის განვითარებისას მავნებლობას იწყებენ: აბლაბუდიანი, ნარინჯისფერი და მეგალუ ტკიჟები. მათგან მავნეობის სიძლიერით გამოირჩევა აბლაბუდიანი ტკიპა, რომელიც მეზამთრეობიდან გამოდის მარტის II დეკადიდან და იწყებს ჯერ ვაზის კვირტების, შემდეგ ფოთლებისა და ნორჩი ყლორტების დაზიანებას. იგი იკვებება ფოთლის უჯრედების პლაზმის და ქლოროფილის მარცვლებით. შედეგად ფოთლებზე წნდება მრავალი მუქი წერტილები და განიცდის დეფორმირებას. ფოთლის კიდეები იგრისება და იკრუნჩება. დაზიანებული ფოთლოდი კარგავს მწვანე ფერს და ყერძნის თეთრი ჯიშები მოყვითალო, მურა ფერს იღებს, შავი ჯიშები – წითელს. ბოლოს ფოთლოდი ხმება და ცვივა, ყლორტი ან მთლი-

ანად ხმება, ან რომელიმე მუხლში გადატყდება. აბლაბურიანი ბუღდიანი ტკიპა წელიწადში იძლევა 8-9 თაობას.

აბლაბურიანი ტკიპას მავნეობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა გაზაფხულზე, ხანგრძლივად დაბალი ტემპერატურის პირობებში, როცა ვაზის გეგეტაცია გვიანდება, ხელა იზრდება, მეზამთრეობიდან გამოსული მშიერი ტკიპები კი ხარბად იკვებებიან და ადგილად ახერხებენ ვაზის დასუსტებას.

ვაზის აბლაბურიანი ტკიპას წინააღმდეგ მექანიკური დონისძიებებიდან მაღალეფექტურიანია ფოთოლცვენისთანავე, ზამორის განმავლობაში, ვაზის შტამბის, საყრდენი მასალის გასუფთავება ხმელი, ამსკდარი ქერქისაგან, მათი ნაკვეთიდან გატანა-დაწვა, შემდეგ ვაზის გაბანება 4%-იანი ნავთ-კირის ემულსიონ (ყოველ 10 ლ წელში 400 გ ნავთი და 150 გ თეთრი, დაუშლელი კირი).

ბრძოლის ქიმიური საშუალებებიდან მავნებლის წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნას აკარიციდები და, ხაჭიროების შემთხვევაში, ვაზი შეიწამლოს 2 ჯრადად 6-8 დღის ინტერვალით ყლორტებზე 3-4 ფოთლის ფაზაში ხეორონით, ომაიტით, ზოლონით ან მიტაკით, ხოლო შესხურებიდან 3 დღის შემდეგ, ვენახში ყოველი 5 რიგის გამოტოვებით გაიშვას ტკიპების ბენებრივი პარაზიტი – მეტასეილუსი.

ყვავილედზე კოკრების განცალკავების ფაზაში, ვენახებში ვრცელდება ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშიში მავნებელი – ყურძნის ჭია, რომელიც გავრცელების წლებში, მაგალითად კახეთში, მევენახეობას სერიოზულ ზიანს აუენებდა. მავნებელი ზამორობს ჭუპრის ფაზაში ვაზის შტამბის ქერქის ქვეშ, მის ნაპრალებში. პირველი თაობის მატლი ყვავილს ახვევს აბლაბურის ქსელში ნაწილობრივ, ან მთლიანად,

თავად თავსდება შიგნით და იკვებება კოკრებით (მატებულის III - ივნისის I დეკადა). ამიტომ, ვიდრე მატლი ქსოვს აბლაბუდის ქსელს და შიგნით მოქცევა, წამლობა უნდა ჩატარდეს ყვავილობის წინ.

II თაობის მატლები მასობრივად იჩეკებიან ივნისის ბოლოს-ივლისის I დეკადაში, აზიანებენ დაისრიმებულ მარცვლებს. მატლი მარცვალში შედის და იკვებება მისი რბილობით.

III თაობის მატლი იკვებება შეთვალებული და მწიფე მარცვლის რბილობით (აგვისტოს II-III, ზოჯვერ სექტემბრის I-II დეკადა). მწიფე მარცვლების დაზიანების შედეგად ხდება ყურძნის ინტენსიური ლპობა.

ყურძნის ჭიის II-თაობის წინააღმდეგ წამლობა უნდა ჩატარდეს ივლისის I დეკადაში მატლების მასიური გამოხეკის დროს. I და II გენერაციაში მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებებიდან გამოყენება: ბულდოკი, კარატე, შერპა, დეცისი, ინსეგარი ან ზოლონი. II თაობის მატლების წინააღმდეგ უფრო უფასებიანია სისტემური პრეპარატების გამოყენება.

ყურძნის ჭიის III-თაობის წინააღმდეგ დაუშვებელია ქიმიური პრეპარატებით ვენახების წამლობა, მაგრამ, თუ მავნებლის რიცხობრიობა I და II გენერაციებში ჩატარებული წამლობების მიუხედავად, მაინც ოვალსაჩინოა, მაშინ წამლობა შეიძლება ჩატარდეს ბიოპრეპარატებით (ლუპიდოციდი, ენტობაქტერინი, კომელინი).

ყურძნის ჭიის წინააღმდეგ მექანიკურ ბრძოლას, როგორც ერთ-ერთ უფასებიან და მავნებლის გავრცელების პროგნოზისათვის საუკეთესო საშუალებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახებში სქესმჰერების (ფერომონის) გამოყენებას, თუმცა ბოლო წლებში

საგრძნობლად შემცირდა მისი გამოყენება. ნიშანული გამოყენების დობლივია ისიც, რომ თითქმის 8-10 წელია, რაც კახეთის რეგიონებში (მაგალითად, თელავის რაიონში) ყურძნის ჭიის მასობრივი გავრცელება და მის მიერ გამოწვეული ზარალი საკმაოდ მცირეა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკოსები პროფილაქტიკის მიზნით მაინც ატარებენ წამლობებს, არის თუ არა ეს საჭირო. ფერომონების გამოყენება კი თავად იძლევა სიგნალს ყურძნის ჭიის გამოჩენასა და რიცხობრიობაზე, წამლობის ჩატარების დროსა და აუცილებლობაზე.

ფერომონი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს აღმგზნებს. სქესმჭერთა სპეციალურ მოწყობილობაში ფერომონის საშუალებით ხდება მამრი პეპლების წებოზე მიწებება და დაღუპვა. მამრების სიმცირის გამო, მდედრი პეპელა დებს გაუნაყოფიერებელ კვერცხებს და აღარ ხდება მავნებლის მასობრივი გამრავლება. ფერომონები ვენახში უნდა გაიკიდოს კვირტის გაშლის ფაზაში, ყოველ მე-5-ე რიგში, სამ ადგილას, მეორე მავთულზე (მტევნის ზონაში). ფერომონების გამოყენება ამცირებს ყურძნისა და გარემოს დანაგვიანებას.

ვაზის უმთავრესი და კიდევ ერთ-ერთი საშიში მავნებელიცაა ფქვილისებრი ცრუფარიანა, რომელსაც კერობრივი გავრცელება ახასიათებს, უკანასკნელ წლებში, მავნებლის რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. იგი გავრცელებულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ვაზის ფქვილისებური ცრუფარიანა წელიწადში იძლევა 4 თაობას. I თაობის განვითარება ხდება აპრილ-ივნისში შტამბზე, ყლორტებსა და ფოთლებზე ფარულ მდგომარეობაში; II თაობისა – ივნის-ივლისში ვაზის იმავე ორგანოებზე ნახევრად ფარულ მდგომარეობაში; III თაობა ვითარდება ღია

მდგომარეობაში მტკვნებსა და ფოთლებზე ივლისამობრივი აგვისტოში; IV თაობა – აგვისტო-სექტემბერში – მტკვნებსა და ფოთლებზე.

ვაზის ფქვილისებური ცრუფარიანა ზამთრობს მატლის ფაზაში ვაზის შტამბის ქერქის ქვეშ, მის ნაპრალებში, განტორვის ადგილებში. მეზამთრეობიდან გამოსული ცრუფარიანა კვერცხებს დებს სპეციალურ, ცვილისებური ძაფებისაგან მოქსოვილ საკვერცხე ჩანთაში (ოვისაკში). მავნებელი წუწვნით აზიანებს ვაზის მიწისზედა უვალა ორგანოს: მტკვანს, კლერტს, ფოთოლს, მწვანე ყლორტს, ერთწლიან რქასა და შტამბს. იგი შტამბს აზიანებს გაზაფხულზე, შემდეგ ფოთლებსა და მტკვანს. დაზიანების შედეგად ფოთლები ჭკნება და ნაადრევად ცვივა. ხშირად კვირტების დაზიანების გამო, ყლორტის განვითარება ადარხდება.

ვაზის ფქვილისებური ცრუფარიანას არაპირდაპირი დაზიანება შეინიშნება ყურძნის შეთვალების მოახლოებისას. შედეგად მავნებლის მიერ დაზიანებული ფოთოლი და ყურძენი იფარება ცრუფარიანს მიერ გამოყოფილი ტკბილი სითხით, სადაც სახლდებიან სხვადასხვა დაბგადების სპორები (მაგალითად, კაპნოდიუმი) და იწვევენ ჭურძნის გაშავებას, ჭკნობას და ლპობას.

ვაზის ფქვილისებური ცრუფარიანას წინააღმდეგ უნდა ჩატარდეს ბრძოლის მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ღონისძიებანი. მექანიკური ღონისძიებიდან კარგ შედეგს იძლევა შტამბზე და რქაზე ცვლისებური ჩანთების ხელით მოხრესა (ივნისის III – ივლისის I დეკადა). ძველი მექანიკური ღონისძიება ამ შემთხვევაშიც იგივეა, რაც აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ არის მიღებული.

ვაზის ფქვილისებური ცრუფარიანას წინააღმდეგობისა უნდა ქიმიური მეთოდით ბრძოლის ღონისძიება უნდა ჩატარდეს ვეგეტაციის დაწყებამდე და ვეგეტაციის პერიოდში. I წამლობა, ადრე გაზაფხულზე, კვირტების დაბერვამდე, როცა პაერის ტემპერატურა 5 გრადუსს აცდება, ვაზი მოლიანად უნდა გაბანდეს 3%-იანი პრეპარატი №30-ისა და ზოლონის 0,2%-იანი სენარიოთ. (ყოველ 100 ლიტრ წყალზე საჭიროა 3 ლიტრი პრეპარატი №30 და 200 მლ. ზოლონი). II წამლობა უნდა ჩატარდეს მაისის მესამე დეკადაში, ხოლო III წამლობა – ივნისის ბოლოს, ივლისის I დეკადაში ანთოს, ზოლონის, კარბოფონის, ბი-58-ის ან კონფიდორის სენარიოთ.

მსხმოიარე ვენახებში, მეტ-ნაკლები სიძლიერით ვრცელდება აგრეთვე, იმერული ბალიშა ცრუფარიანაც. იგი თავისი მავნეობით და ბიოლოგიური თავისებურებებით, ნაწილობრივ, ჰგავს ფქვილისებურ ცრუფარიანას, მხოლოდ განსხვავება თაობათა რაოდენობაშია. იმერული ბალიშა ცრუფარიანა წელიწადში იძლევა მხოლოდ ერთ გენერაციას და მისგან გამოწვეული მავნეობაც შედარებით მცირეა.

ვაზის ავადმყოფობანი მსხმოიარე ვენახებში

ვაზის დაავადებებიდან, ყოველწლიურად, ინტენსიური გაგრცელებითა და მავნეობით გამოირჩევა ჭრაქი, ნაცარი, ხოლო ყურძნის სიდამპლეები (თეთრი, ნაცრისფერი, შავი), ვაზის ბაქტერიული კიბო, ანთრაქნოზი, რქის შავი სილაქავე, ფესვის სიდაპლე, ფუზარიოზი და სხვები, მეტნაკლები სიძლიერით ვრცელდებიან და მათ მიერ გამოწვეული ზარალი, ჭრაქთან და ნაცართან შედარებით, უმნიშვნელოა.



ჭრაქით ვაზის უკელა თრგანო ზიანდება: ფოთონის უკელა ლი, ულორტი, ყვავილედი, მტევანი, კლერტი, პწკალი. დაავადებულ ფოთოლზე ზედა მხრიდან, ვითარდება მოყვითალო, სხვადასხვა ზომის მომრგვალო ან დაბუთხული, ზეთისებრი ლაქები, რომლებიც ხელსაყრელ პირობებში (ტემპერატურა, ტენი) ქვედა მხრიდან იფარება თეთრი, ფხვიერი ფიფქით. დაზიანებული ფოთოლი თანდათან ყავისფერდება და ლაქის აღგილი ხმება. კოკრები, თანაყვავილედი და ნასკვი წვიმიან ამინდში იფარება ამაღლებული თეთრი ფიფქით და თანდათან ხმება, რქაზე მხოლოდ კლერტილა რჩება. მშრალ ამინდში დაავადებულ თრგანოებზე ფიფქი არ ვითარდება.

მარცვლის ზრდასთან ერთად, ნაყოფის დაავადება კლებულობს. ნაყოფის დაავადება, ჩვეულებრივად, ყუნწოან მიმაგრების ადგილიდან იწყება; გარშემო ჯერ ვითარდება მოლურჯო ზოლი, რომელიც შემდეგ მურა ან ყავისფერს იდებს და მთელ მარცვალზე ვრცელდება. ზრდასრულ და მწიფე მარცვალზე ფიფქი არ ვითარდება. წვიმიან ამინდში მწიფე მარცვლის დაავადება სკელ სიდამპლეს წაგავს, მშრალ ამინდში მარცვალი შრება და შავი სიდამპლის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ჭრაქით დაავადებულ ნაყოფზე შავი სიდამპლისათვის დამახასიათებული მუქი, მრგვალი სხვულაკები (პიკნიდიალური ნაყოფიანობა) არ ვითარდება.

ჭრაქის თეთრი ფიფქით იფარება მტევნის უუნწი და კლერტიც. ულორტის მუხლთან ჩნდება მოლურჯო, მურა ლაქი; პწკალი მუქდება და ადგილად იმტკრევა. ჭრაქით ავადდება რქაც, რომელზედაც ვითარდება მოგრძო, მურა ლაქები, შედეგად იგი დუნდება, სუსტდება და მტკრევადი ხდება. რქა აღარ ვი-

თარდება ნორმალურად და შემოუსვლელი რჩებაზე გამოიყენება ჭრაქის მასობრივი გავრცელება მოსალოდნელია მისი ნაადრევად გამოჩენისას, რის შედეგადაც, ყვავოლობამდე, საინფექციო საწყისის მარაგი უხვად გროვდება. ობილ და წვიმიან ამინდში ჭრაქი 20-25-მდე თაობას იძლევა (I ინფექციიდან), მშრალ ამინდში კი იგი საგრძნობლად მცირეა. ჭრაქის განვითარების მინიმალური ტემპერატურა 12-13 გრადუსია (საინკუბაციო პერიოდი 13 დღე), ოპტიმალური – 23-25 გრადუსი (საინკუბაციო პერიოდი 4 დღე) და მაქსიმალურია – 30 გრადუსი (ინკუბაციის პერიოდი 8 დღეა).

დაავადების განვითარებაზე გავლენა აქვს აგრეთვე ჭარბ ტენიანობას წვიმის სახით (განსაკუთრებით დამის ნალექს), ნაკვეთის რელიეფს, ვაზის დარგვის სიხშირეს, კვების არეს და სხვ. ჭრაქის მასობრივი გავრცელება აღინიშნება მაშინაც, თუ ვაზი დაბლობია გაშენებული. ქარის გავლენა დაავადებაზე საპირისპიროა, აშრობს რა ვაზის მწვანე ნაწილებს, ხელს უშლის ავადმყოფობის განვითარებას (სპორტის გამოშრობის გამო).

ჭრაქის წინააღმდეგ წამლობა ეფექტიანია, როცა ის ტარდება პროფილაქტიკის მიზნით, დაავადების გამოჩენამდე და მწვანე ოპერაციების შესრულების შემდეგ. წამლობის ეფექტიანობა იზრდება, თუ ვეგუტაციის პირველ პერიოდში ჭარბი ტენიანობის (წვიმის) დროს, პირველი ორი-სამი შესხურება ტარდება სისტემური მოქმედების ფუნგიციიდებით, შემდეგ კი, კონტაქტური და სისტემური მოქმედების პრეპარატების მორიგეობით. ხანგრძლივ წვიმიან პირობებში, წამლობათა შორის ინტერვალი უნდა შევამციროთ, ზოგჯერ, დასაშვებია სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის გაზრდაც. ჩამორეცხვის შემთხვევაში შესხურება

უნდა განმეორდეს.

ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებად მაინც ქიმიური მეთოდი რჩება აგროტექნიკური ლონისძიებათა სრულყოფის უონზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს I წამლობის დაწყების სწორ პროგნოზს, ფუნგიციდის შერჩევასა და წამლობის დროულ და მაღალხარისხოვნად ჩატარებას ვაზის ყვავილობის წინ და დაყვავილებისთანავე, რადგან ყვავილი ამ პერიოდში ნაზი ქსოვილებისგან შედგება და ჭრაქით უფრო ადგილად ავადდება. ამიტომ, ვენახის შეწამვლის მე-3-4 დღეს, უთუოდ უნდა შევამოწმოთ ფუნგიციდის ტოქსიკურობა თვალზომურად და თუ დაავადდების საეჭვო ნიშნები შევამჩნიეთ, ვაზი დაუყოვნებლივ სხვა პრეპარატით უნდა შეიწამლოს.

ჭრაქის წინააღმდეგ, წლების განმავლობაში, კლასიკურ ფუნგიციდიად ბორდოს სითხე და სხვა სპილენძის შემცველი პრეპარატები ითვლებოდა. მიუხედავად ზოგიერთი უარყოფითი თვისებისა, მათი ხმარებიდან სრულად გამოთიშვა მართებულად არ მიმაჩნია. ამიტომ, დღესდღეისობით, ვურჩევ ახალი და ძველი პრეპარატების მორიგეობით გამოყენებას.

კახეთის რეგიონში (თელავი) ჭრაქის წინააღმდეგ ინტენსიურად იყენებენ შემდგა პრეპარატებს: რიდომილი გოლდ მც (2,5 კგ/ჰა), კურზატს (3 კგ/ჰა), ანტრაკოლს (3-5 ლ/ჰა), კუპროფლოს (3,5-4 ლ/ჰა), რიდონეტს (2,5 კგ/ჰა), კუპროკაფაროს (3-4 კგ/ჰა), მელოდი დუო-ს (2-3 კგ/ჰა), 90%-იან სპილენძის ქლორჟანგს (7-8 კგ/ჰა), ბორდოს სითხეს (15-20 კგ/ჰა), მიკალს (3-4 კგ/ჰა), ავექსილს (2-3 კგ/ჰა) და სხვ.

2002 წელი ვაზის დაავადებების, პირველყოვლისა კი ჭრაქის, ინტენსიური გავრცელებისათვის ოპტიმალური პირობებით ხასიათდებოდა. ადრე გაზაფხ-

უდიდას ზაფხულის ბოლომდე, დღე-დამის განმავლენა ბაში განუყვარდივ წვიმდა. თელავის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით მაისში ნალექების თვიური რაოდენობა 62,1 მმ იყო, საშუალო ტემპერატურა – 14,8°; ივნისში ნალექები – 240,1 მმ, საშუალო ტემპერატურა – 19,3 გრადუსი, ივლისში ნალექები – 32,8 მმ-ს უდრიდა, საშუალო ტემპერატურა – 33,5 გრადუსს შეადგენდა.

ჭრაქის მასობრივი გავრცელება აღინიშნა: თელავის, საგარეჯოს, ყვარლის, გურჯაანის, ახმეტისა და სხვა რაიონებში როგორც სანერგეებში, ისე ახალშენ და მსხმოიარე ვენახებში. თელავის რაიონში, ჭრაქის წინააღმდეგ ძველი და ახალი პრეპარატების მონაცელეობით წამლობები მსხმოიარე ვენახებში ჩატარდა სქემით:

1) პირველი სამი წამლობა რიდომილი გოლდ მც, მე-4 კუპროქსატით, მე-5 კურზატით და მე-6 ბორდოს სითხით (6-ჯერადი).

2) პირველი სამი წამლობა ანტრაკოლით, მე-4 ბორდოს სითხით, მე-5 რიდომილი გოლდ მც-ით; მე-6 – მელოდი დუო-თი; მე-7 – ბორდოს სითხით (7-ჯერადი).

3) პირველი 5 წამლობა კურზატით, ბოლო 2 წამლობა ბორდოს სითხით (7-ჯერადი).

4) პირველი 2 წამლობა კუპროქსატით, მე-3 და მე-4 – მიკალით, მე-5 ბორდოს სითხით, მე-6 – კუპროკაფაროთი, მე-7 – ანტრაკოლით, მე-8 – ბორდოს სითხით (8-ჯერადი).

5) პირველი წამლობა მიკალით, მე-2 – რიდონეტით, მე-3 – კუპროქსატით, მე-4 – კურზატით, მე-5 – კუპროკაფაროთი, მე-6 – სპილენბის ქლორფანგით, მე-7 – ბორდოს სითხით (7 ჯერადი).

6) პირველი 5 წამლობა სპილენძის ქლორუანგით,
მე-6 – კუპროკაფაროთი, მე-7 – კუპროქსატით (7-ჯერ და
დი).

მოცემული სქემით ჩატარებული წამლობები და
კრეპარატების შედარებითი ტოქსიკურობა მეტ-ნაკლე-
ბად დამაკმაყოფილებელი იყო და მოსავალი შენარ-
ჩენდა მეორეჯერ სეტყვის მოსვლამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭრაქის წინააღმდეგ შერ-
ჩევით ერთი ან ორჯერადად მეტი წამლობის ჩატარე-
ბა სავალდებულოა (მაისის I-II დეკადა) ნაფარეულის,
წინახდლის, ბუშეტის, აკურის, ქვემო ხოდაშენის და
თელავის რაიონის სხვა სოფლების იმ ზორებში,
რომლებიც მდინარე ალაზნის მარცხენა და მარჯვე-
ნა სანაპირო ზოლთან ახლოსაა გაშენებული. აღნიშ-
ნელის განზოგადება შეიძლება კახეთის ყველა იმ
რაიონებისათვის, რომელთა კენახები გაშენებულია
ალაზნის სანაპირო ზოლთან ახლოს.

საყურადღებოა ისიც, რომ რამდენიმე წელია, მათ
შორის 2002 წელსაც, კახეთის სხვადასხვა რაიონში,
ჭრაქის ინტენსიური გავრცელება აღინიშნა ვაზის
უწამლ ჯიშებზეც. მაგალითად, თელავის რაიონში
(წინანდაღი, კონდოლი, თელავი), საგარეჯოში (მანავი)
ჯიშ თითისებრზე (6 წლის ხნოვანების), ახმეტის (ახა-
შენში, ჩაბინიანში) და სხვა რაიონებში. ამიტომ, ვაზის
უწამლი ჯიშები აყვანილი უნდა იქნენ კონტროლზე
და ჭრაქის წინააღმდეგ წამლობები დაუყოვნებლივ
მათაც უნდა ჩატარდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში
ეს ჯიშები თავად იქცევიან ინფექციის გავრცელების
წყიროდ.

ვაზის მეორე მნიშვნელოვან დაავადებას წარმოად-
გებს ნაცარი, რომელიც მევენახეობის ყველა რეგიონში
ყოველწლიურადაა გავრცელებული. იგი იწვევს ვაზის

ყველა ორგანოს დაავადების (ფოთლების, ყლორტების, ის, პწვალის, მარცვლების). დაავადებულ ორგანოებზე ვითარდება გადაღესილი, დაბალი, მოთეთონაცრისფერი ფიფქი, რითაც ადვილად გასარჩევია ჭრაქის ამაღლებული ფიფქისაგან. ნაცრის განვითარების ოპტიმალური ტემპერატურაა 25 გრადუსი და ზევით, თუმცა დაავადების გამოჩენა და განვითარება დაბალ ტემპერატურაზეც ხდება გაზაფხულზე შეგაძლიერდება განვითარებულ ყლორტებზე (მოზამთრე გენერაცია). მაღალ ტემპერატურასთან ერთად, ნაცრის განვითარებისათვის საჭიროა 60-70% ჰაერის შეფარდებითი ტენიანობაც.

ნაცრის გამომწვევი სოკო სითბოს მოყვარულია და ჩვეულებრივად მისი გამოჩენა იწყება მაისის ბოლო რიცხვებიდან - ივნისის I დეკადაში. ხელშემწყობ პირობებში, ნაცარი თანდათან ძლიერდება, აღწევს გავრცელების მაქსიმუმს ივნისის ბოლოს, ივლისის I-II დეკადაში. შემდეგ ხდება დაავადების განვითარების თანდათანობით შენელება და ბოლოს სრულიად ჩერდება.

ნაცრის წინააღმდეგ, წლების განმავლობაში პრიორიტეტული და ეფექტური საშუალებად გოგირდის შეფრქვევა ითვლებოდა მზიან და წყნარ, მშრალ პირობებში. ნესტიან კლიმატურ პირობებში მისი გამოყენება პრაქტიკულად გაუმართლებელია, რადგან ვაზის ნამიან თრგანოებზე დაფქვდი გოგირდი კოშტდება უფრო მსხვილ ნაწილაკებად, ეს კი იწვევს ვაზის მწვანე ნაწილების დაწვას. ამიტომ, გოგირდის შეფრქვევას უფრო ინტენსიურად ვენახებში დაყვავილების შემდეგ მიმართავდნენ (ივნისის II-III, ივლისის I-II დაცადა).

გოგირდს, გარდა პირდაპირი, მიზნობრივად გამოყ

ენგბისა, აქვს გვერდითი თვისებებიც. სახელდობრი იგი აფერხებს ვენახებში გალებიანი ტკიპას გაუცელება-განვითარებას. ამიტომ, დღესდღეობით, ზვრებში აღინიშნება რა გალებიანი ტკიპას რაოდენობის მატება, ურიგო არ იქნება, თუ ნაცრის წინააღმდეგ ბაილეტონის, ტოპაზის, პანჩის, ვექტრას, კოლოიდური გოგირდის ან სხვა რომელიმე ნაცროვანი პრეპარატის გამოყენების ფონზე, 2-3 დღის შემდეგ ჩატარდება ერთი ან ორჯერადი გოგირდის შეფრქვევა (დაფქული გოგირდი) საჭიროების მიხედვით.

შურმნის სიდამპლემბი

შურმნის სიდამპლეებიდან თავისი მავნეობითა და გავრცელებით კახეთის რეგიონში გამოირჩევა თეთრი და ნაცრისფერი სიდამპლე. რაც შეეხება შავ სიდამპლეს (ბლეკ როტს), იგი მტევანზე ერთეულ მარცლებს აზიანებს, ამიტომ ზვრებში მის გავრცელებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

შურმნის თეთრი სიდამპლე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია გავრცელებული, მაგრამ გავრცელების სიძლიერით ყურადღებას იპყრობს კახეთში: თელავის, გურჯაანის, ყვარელის, სიღნაღისა და ახმეტის რაიონებში. დაავადების გამოჩენა ვეგეტაციის ყველა პერიოდშია მოსალოდნელი, განსაკუთრებით სეტემბრის შემდეგ. თეთრი სიდამპლის (ვაიტ როტი) გამომწვევი ჭრილობის პარაზიტია, ამიტომ დაავადების გავრცელების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად მცენარის მექანიკური დაზიანება ითვლება. თუმცა, ამ ბოლო წლებში, პრაქტიკაში თეთრი სიდამპლით დაუზიანებელი ნაყოფების დაავადებაც აღინიშნება სეტემბრისაგან დამოუკიდებლად. მიმდინარე 2002 წელს

კახეთის სხვადასხვა რეგიონში აღინიშნა თეორი სიდამპლის გავრცელება, როგორც დასეტყვილ, ისე დაუსეტყვილი ვავ ვენახებში. ამ შემთხვევაში, ვაზის ორგანოებზე ჭრილობების მიუწვდომელი ხდება მწვანე ოპერაციების უხარისხოდ ჩატარებით და მექანიზაციით.

თეორი სიდამპლის გამომწვევით ზიანდება ფოთლები, ყლორტები, რქები, მტევანი. ფოთლის დაავადება უმნიშვნელოა და დაზიანების შემთხვევაში მასზე ვითარდება ყავისფერი ლაქები, მასზე კი პიკნიდიუმები – სოკოს ნაყოფსხელები. თეორი სიდამპლით ყვალაზე მეტად ზიანდება მარცვალი ისვრიმობისა და შეთვალების ფაზაში ყუნწის მიმაგრების ადგილიდან. ავადმყოფი მარცვლები ყავისფერია, ცხელ წყალში გათუჭქელს წააგავს, ბოლოს მარცვალი ლპება, შრება და სხვ. თეორი სიდამპლით მტევანი ზიანდება ნაწილობრივად და მთლიანადაც. მტევნის დაავადება იწყება ბოლოდან, შედეგად მტევნის ბოლო ნაწილი დამპალია, ნაწილი კი საღია. დაავადებული მარცვლები მტევნიდან ადგილად ცვივა. საშიშია როცა მტევნის დაავადება ყუნწიდან იწყება, მაშინ დაავადებული ყუნწი საღი მტევნის სიმძიმეს ვეღარ უძლებს და მთლიანად ძირს ვარდება.

რქების (ტოტების) დაავადება ხშირია და მნიშვნელოვანია ამერიკული ვაზის სადედეში, სადაც ტოტები გართხმულია ნიადაგზე და ნიადაგში არსებული სპორტით ტოტის დაავადება ადგილად ხდება. ადგილობრივ ვაზზე კი რქის დაავადება სეტყვის შემდეგ იწყება. შედეგად რქა მუხლში ხმება, ტყდება და ბუჩქზე რჩება.

ნაცრისფერი სიდამპლის გამომწვევია სოკო ბოტრიგის ცინერეა, რომელიც ყურძენს აზიანებს ისვრიმობისა და სიმწიფის ფაზებში, იშვიათად თანაფ-

ვავილედს, რქასა და ფოთოლს. ჩვეულებრივად, ნაცრისტული რისტერი სიდამპლის გამოჩენა, დამახასიათებელია ყურძნის სიმწიფეში შესვლის დროს, რომელიც თანდათან მატელობს და მაქსიმუმს აღწევს სრულ სიმწიფეში.

ნაცრისფერი სიდამპლის გამომწვევი სოკო მარცვალს უფრო ინტენსიურად მექანიკური დაზიანებისას ან დასკვდომის შემდეგ აზიანებს რაც ხშირად ყურძნის ჭიის ან გვალვების შემდეგ მოსული ძლიერი წვიმების ან არასწორი მორწყვის ზემოქმედებით არის გამოწვევლი. დაავადებულ მარცვალზე ჯერ ვითარდება ყავისფერი ლაქა, შემდეგ კი იფარება შემაღლებული ჭუჭყიანი, ნაცრისფერი ფიფქით. წვიმიან ამინდში, დაავადებული მარცვლები ლპება და ადვილად ცვივა, მშრალ ამინდში – ჩამიჩდება.

ნაცრისფერი სიდამპლით დაავადებული რქა მურა ფერისაა, დარბილებული და გაწვრილებულია, მუხლში ადვილად ტყდება, ყინვებისადმი მეტად მგრძნობიარება. სიდამპლის გავრცელების ხელშემწყობი პირობებია: ჭარბი ტენიანობა ხშირი წვიმების სახით, ოპტიმალური ტემპერატურა 18-25 გრადუსია; 35 გრადუსზე ზემოთ სოკო წყვეტს განვითარებას.

სიდამპლეების წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთულია. ამის მიზეზებია:

ა) მათი გამოჩენა და გავრცელების სიძლიერე არაერთდროული (არათანხვედრილია) და არათანხბარია.

ბ) სიდამპლეების, განსაკუთრებით ნაცრისფერი სიდამპლის ინტენსიური გამოჩენა უფრო ყურძნის სიმწიფეში ხდება და მის წინააღმდეგ ქიმიური პრეპარატების გამოყენება დაუშვებელია. ბიოპრეპარატები კი ხშირ შემთხვევაში, სასურველ შედეგს არ იძლევა.

ვიან.

გ) სიდამპლის გამომწვევი ორგანიზმებისათვის
სპილენძის შემცველი პრეპარატებისა და ბევრ სხვა
ორგანული ფუნგიციდების ტოქსიკურობა საკმარისი
არ არის.

სიდამპლეების (თეთრი და ნაცრისფერი) წინააღმდეგ პრძოლის აგროტექნიკური დონისძიებებიდან
საჭიროა:

1) მწვანე ოპერაციების დროული და ხარისხიანი
ჩატარება, ნამსრევების მუხლზე წატეხვა და არა ჩამოხ-
ლება.

2) ყურძნის შეთვალების ფაზაში (მტევნის ზონა)
ფოთლების გამოხშირვა, საჭიროების შემთხვევაში
შეწყდეს რწყვა, განსაკუთრებით იმ ნაკვეთებში, სა-
დაც წინა წელს აღნიშნული იყო სიდამპლეების
ძლიერი გავრცელება.

3) ყურძნის ჭიის, ნაცრისა და სარეველების წინააღმ-
დეგ წამლობათა ხარისხიანად ჩატარება, საჭიროებ-
ის მიხედვით.

4) როვლის სწორი ორგანიზაცია, პირველ რიგში
ყურძნის მოკრეფა იმ ნაკვეთებში, სადაც სიდამპლის
კერებია შენიშნული.

ქიმიური პრეპარატებიდან სიდამპლეების წინააღმ-
დეგ უნდა გამოვიყენოთ ეუპარენი (2გ/ჶა), ბენდატი ($2,5\text{გ/ჶა}$), მიკალი ($3-3,5\text{გ/ჶა}$), სუმილექსი ($1-1,5\text{გ/ჶა}$),
ტოპსინი ($1-1,5\text{გ/ჶა}$), რონილანი (2გ/ჶა), როვრალი ($2-2,5\text{გ/ჶა}$) ან ფოლიკური ($2,5\text{გ/ჶა}$). მინიმალური ჯერა-
დობით (2 ჯერ) წამლობა უნდა ჩატარდეს ისვრიმო-
ბისა და ყურძნის შეთვალების ფაზაში, ან მაქსიმალური
ჯერადობით ($3-4 \text{ ჯერ}$) სიდამპლეების ნააღრევად
გამოჩენისას: I - ყვავილობის დამთავრებისთანავე, II -
ისვრიმობის დროს, III - სიმწიფის დასაწყისში და

IV - როგორის დაწყებამდე 40-50 დღით ადრე.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაავადებათა (ჭრაქი, ნაცარი, სიდამპლე) წამლობის ვადები ერთმანეთს დაუმოხვევა, შესხურებები ჩატარდება კომბინირებულად – მიკალისა და ეფარენის მონაცელეობით, რადგან ეს ფუნგიციდები ერთდროულად ტოქსიკურად მოქმედებენ ნაცარზე, ჭრაქზე და სიდამპლეზე. ზემოთ აღნიშნულ სხვა დანარჩენი ფუნგიციდების სამუშაო ხსნარს უთუოდ უნდა დაემატოს ჭრაქის საწინააღმდეგო პრეპარატები, რადგან ისინი მოქმედებენ მხოლოდ ნაცარზე და სიდამპლეზე.

სანერგეზი გაპრცედენტული ავადმყოფებანი

მაღალხარისხოვანი ნამყენის მისაღებად და გამოსავლიანობის გაზრდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა სანერგეზი დაავადებების დროულ გამოვლინებას, მათ წინააღმდეგ პერსპექტიული ფუნგიციდების სწორად შერჩევას, ბრძოლის ღონისძიებათა დროულად და კალენდარულ ვადებში ჩატარებას.

სოკოვანი დაავადებებიდან, სანერგეზი თითქმის ყოველწლიურად მეტ-ნაკლები სიძლიერით ვრცელდება ჭრაქი, იშვიათად ნაცარი, ფუზარიოზი, ანთრაქნოზი, ნაცრისფერი და თეთრი სიდამპლე (სეტყვის შემდეგ). ბოლო წლებში, ვაგეტაციის პერიოდში, ყოველდღიური უხვი ნალექების პირობებში, ნამყენზე აღინიშნა ანთრაქნოზისა და ნაცრისფერი სიდამპლის გავრცელების კერები (2002 წ. ყვარელი), ხოლო ჭრაქის მასობრივი გავრცელება (ეპიფიტოტია) ყველგან, ალაზნის მარცხენა და მარჯვენა სანაპირო ზოლში გაშენებულ სანერგებებში. მიუხედავდ წამლობათა ჯერადობის გაზრდისა და შესხურებათა შორის ინტენსი-

ლის შემცირებისა (ყოველ 3 დღეში ერთხელ), ქის ახალ-ახალი გენერაციების გამოჩენა მძვინვარებდა.

ჭრაქის ინტენსიურ განვითარება-გავრცელებას ხელს უწყობს ოპტიმალური კლიმატური პირობები (უხვი ნალექები, ტემპერატურა 23-25 გრადუსი), ნაკვეთის რელიეფი, განსაკუთრებით თუ სანერგე გაშენებულია დაბლობი, ტენიან და მძიმე ნიადაგებზე; ჭრაქის გავრცელება ძლიერდება მაშინაც, როცა სანერგის ან ვენახის მიმდებარე თავისუფალი ტერიტორია მაღლარად მოზარდი კულტურებით (სიმინდი, მზესუმზირა) არის დაკავებული, ან ახლოს ტყის კულტურებია გაშენებული. ისინი, თავის მხრივ, მიკროკლიმატს ქმნიან აუარესებენ რა ჰაერაციას (ჩახუთვას იწვევენ). თუ ამას თან ერთვის ხანგრძლივი გვალვა, მზარდი ტრანსპირაცია, ორთქლის კონდენსაცია და წყლის წვერების სახით ფოთლების ძლიერი დანამვა, მაშინ ჭრაქის მასობრივი გავრცელება გარდაუვალია მიუხედავად მრავალჯერადად ჩატარებული წამლობებისა. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს მაშინაც, როცა გარემოში ხშირი, ხანმოკლე წვიმებისა და მაღალი ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა (მზის მაღალი რადიაცია იწვევს შესხეულებული ფუნგიციდების დაშლას, ტოქსიკურობის დაქვეითებას). **ასეთ შემთხვევაში წამლობები უნდა ჩატარდეს დილისა და საღამოს საათებში.**

ჭრაქის გაძლიერებას ხშირად ხელს უწყობს რწყვაც. ეს დონისძიება უნდა შესრულდეს, ოდონდ ჯერ უნდა ჩატარდეს წამლობა და შემდეგ რწყვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება ნიადაგის დატკეპნა, მისი ფიზიკური მდგომარეობისა და სუნთქვის გაუარესება, ნამჟენის თანდათან დახუსტება და ჭრაქით ად-

ვილად დასწებოვნება. ამიტომ, ახალშენი ვენახის სასულისად და სანერგიის მწარმოებელი ყოველდღიურად უნდა აღევნებდეს თვალს დაავადების ახალ-ახალი გენერაციების გამოვლენას და შესაბამისად ცვალოს პროლის ღონისძიება ჭრაქის ჩასაქრობად.

სანერგეში ჭრაქის წინააღნდეგ I წამლობა უნდა დაიწყოს ნამყენზე 2-3 ფოთლის განვითარების ფაზაში, რეგიონებისა და რეგიონის შიგნით მიკროზონების მიხედვით, არა უგვიანეს მაისის I-II დეკადისა და გაგრძელდეს ვეგეტაციის ბოლომდე (სექტემბრის II-III დეკადა) კლიმატური პირობებისა და ჭრაქის ახალ-ახალი ინფექციების გამოვლინების გათვალისწინებით.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სანერგისათვის უფრო ნიშანდობლივია, რომ ჭრაქის წინააღმდეგ წამლობები დაიწყოს ჯერ ალაზნის სანაპირო ზოლში ახლო მდებარე ნაკვეთებში, ხოლო ერთი ან ორი წამლობის ჩატარების შემდეგ – რეგიონის სხვა ნაკვეთებში. წამლობათა შორის ინტერვალი, პირველ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 4-5 დღეს, მეორე შემთხვევაში (ე.ი. ალაზნის სანაპირო ზოლიდან დაშორებულ ნაკვეთებში) – 6-7 დღეს.

თუ ნამყენის აქტიური ზრდის პერიოდს თან ერთვის სანგრძლივად წვიმიანი ან მშრალი ამინდის ცვალებადობა, მაშინ წამლობათა შორის ინტერვალი შესაბამისად უნდა შევამციროთ ან გავზარდოთ, საჭიროების მიხედვით. წამლობათა შორის ინტერვალის ხანგრძლივობა დამოკიდებულია, აგრეთვე, ნამყენის დარგვის სიხშირეზე, ფუნგიციის სტაბილურობაზე და, რაც მთავარია, ჭრაქის განვითარების ოპტიმალურ პირობებზე. ხერგის ჩამორცხვების შემთხვევაში, წამლობა უნდა გამეორდეს.

ნამყენში, ახალშენ და მსხმოიარე ვენახებში ჭრა-

ქის წინააღმდეგ გამოიყენება სისტემური, სისტემური კონტაქტური და კონტაქტური მოქმედების ფუნგიციდები. სანერგეში, ჭრაქის წინააღმდეგ, ვეგეტაციის I პერიოდში, ე.ი. ნამყენის აქტიური ზრდის ფაზაში, უკათვესია გამოყენებული იყოს სისტემური მოქმედების პრეპარატები: რიდომილი გოლდ მც (2-2,5 კგ/ჰა), მიკალი (3-3,5 კგ/ჰა), კურზატი (2,5-3 კგ/ჰა) – ივლისამდე, ხოლო ზრდის თანდათანობით შენელების შემდეგ, უკეთესია წამლობების ჩატარება სისტემური და კონტაქტური მოქმედების ფუნგიციდების მონაცელებობით: ანტრაკოლი (2-3 კგ/ჰა), კუპროქსატი (3,5 ლ/ჰა), სპოლენის ქლორუანგი (7-8 კგ/ჰა) ან ბორდოს სითხე (1-1,5 კგ/ჰა) – ივლისის II დეკადიდან სექტემბრის ბოლომდე ვეგეტაციის განმავლობაში (II პერიოდი) საჭიროა წამლობებში ბორდოს სითხის რამდენჯერ-მე ჩანაცვლება (ბოლო ორი წამლობის დროს მაინც).

თუ სანერგეში დაფიქსირდება ნაცრისა და გაღებიანი ტკიპას გამოჩენა (რაც იშვიათია), მაშინ ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ წამლობები ჩატარდება საჭიროების მიხედვით, ერთ-ერთი რომელიმე ფუნგიციდის: რიდომილი გოლდ მც-ს, კურზატის ან მიკალის და კოლოიდური გოგირდის (8 კგ/ჰა), ბაილეტონის (200 გრ/ჰა) ან ტოპაზის (150-250 ლ/ჰა) კომბინირებული ნაზავით.

კერძიციდების მნიშვნელობა მევენახოვაში

მევენახობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა მიმდინარეობს გაზის ინტენსიური განაშენიანება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სარეველა ბალახების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარებას. ვენახებში ხშირად ირდვევა აგროტე-

ქნიკურ ლონისძიებათა კალენდარული ვადები: გამნელებული ბულია მწყრივებში სარეველების თოხნა, უამობარვა, ხოლო ძველი ნარგაობა კი სათანადოდ არ არის ფორმირებული მექანიზმების შეუფერხებელი მუშაობისათვის. ამიტომ, ამჟამად ზვრებში დასარევლიანების პროცენტი მაქსიმალურია (შალაფა, ბირკა, ამბოზია, ნარი, გლერჩა, ბოლოკურა, აბრეშუმა, ხვაროჭალა და სხვ.). შესაბამისად მათ ფონზე ინტენსიურია მავნე ორგანიზმების გავრცელება და მავნეობა. მათ წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლის ლონისძიებანი ხშირად სასურველ შედეგს არ იძლევიან წამლობის ჯერადობათა გაზრდის შემთხვევაშიც კი. ამიტომ, ვენახებში სარეველების ფესვებზე მოქმედი ჰერბიციდები (მაგალითად, კარაგარდი) ოუ არა, ვეგეტაციის პერიოდში მცენარის მწვანე მასაზე მოქმედი ჰერბიციდები მაინც უნდა იყოს გამოყენებული (რაუნდაპი, ჩიტოსორგი, ფოსფელენი, უტალი—8-10 ლ/ჰა, ნოკდაუნი — 2-6 ლ/ჰა).

მწვანე მასაზე მოქმედი ჰერბიციდები ვენახში შეტანილი უნდა იყოს მაინის II-III დეკადაში, როცა ნორჩი სარეველების სიმაღლე 10-15 სმ-ს მიაღწევს. სარეველების არათანაბარი ზრდის პირობებში (არაერთდროული ამოსვლა), ჰერბიციდები შეიძლება შესხერებული იქნას 2-ჯერადად (მშრალ პირობებში). სარეველების ჰერბიციდებით დამუშავება უკეთესია ინტენსიური ზრდის პერიოდში და იგი შეიძლება გაგრძელდეს მაისიდან აგვისტომდე.

ჰერბიციდების მიმართ ვაზის მწვანე ნაწილები ძლიერ მგრძნობიარენი არიან. ამიტომ, მათი შესხერება უნდა ჩატარდეს უქარო, წყნარ ამინდში. სასურველია, თუ შესასხერებელ აპარატს შტანგარზე დამცველ ფირფიტებს გავუკეთებოთ და საწამლი აპა-



რატი იმუშავებს დაბალი წნევის რეჟიმით (1,5-2 ათ. კვ. მეტრის ზე) პერსონალის შესხვრება მშრალ და მზიან ამინდში ზრდის მათ ეფექტიანობას. წვიმა და დაბალი ტემპერატურა, პირიქით ამცირებს მათ ტოქსიკურობას. პერბიციდების მიერ დაზიანების პირველი სიმპტომები (ჭკნობა, გაყვითლება) ერთწლიან სარეველებს მე-3, მე-4 დღეს ემჩნევათ, ხოლო მრავალწლიანებს – მე-8, მე-10 დღეს. 2-3 კვირის შემდეგ კი მცენარე მოლიანად ყვითლდება, ყავისფრდება და ხმება.

ამრიგად, სარეველების როგორც ფეხვებზე, ისე მწვანე მასაზე მოქმედი პერბიციდები, ძირითადად გამოყენებული უნდა იყოს სრულმოსავლიან ვენახებში. სანერგებებსა და ახალშენ (1-4 წლიან) ვენახებში კი მათი გამოყენება დაუშვებელია.

კისტიციდების მოპლე ანოტაცია

1. რიდომილი გოლდ მც (შვეიცარია) – ახალი სისტემური და კონტაქტური მოქმედების ფუნგიციდია ($40+640$ გ/კგ მეტალაქსილი+მანკოცები) ეფექტიანია ჭრაქის, კარტოფილის ფიტოფტორას და ბოსტნეული კულტურების სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ, ხასიათდება მცენარეში სწრაფი შეჭრისა და ხანგრძლივი მოქმედების უნარით. რთულ კლიმატურ პირობებში (ხანგრძლივი წვიმები), რიდომილი გოლდი მც მაღალ ტოქსიკურობას ამჟღავნებს. პრეპარატის დაცვითი მოქმედება 10-14 დღეა, მაგრამ თუ დაავადებათა განვითარებისათვის ზედმიწევნით ოპტიმალური პირობებია, მაშინ წამლობათა შორის ინტერგალი უნდა შემცირდეს (7 დღე). მაღალი ეფექტი მიიღება მცენარეთა პროფილაქტიკური დამუშავებისას.

რიდომილი გოლდი მც-ს კომბინირება შეიძლება

ნეიტრალური რეაქციის მქონე უმეტეს პესტიციდების მიხედვით გამოიყენება ეკოლოგიურად და ინტეგრირებული დაცვისათვის გამართლებულია.

2. კურბატი – სისტემური მოქმედების ფუნგიციდია – ორი შემადგენელი ნივთიერებით ($689,5 + 42$ გ/კგ – სპილენძის ქლორჟანგი+ციმოქსანილი) ეფექტიანია პროფილაქტიკური დამუშავებით (დაავადებათა გამოჩენამდე). აქვს დამცავი და სამკურნალო თვისებები. პრეპარატი მაღალეფექტიანია ჭრაქის, ფიტოკარიოზებისა და პერენისპოროზების წინააღმდეგ. კურზატი ამცირებს ნაცრის განვითარებას, არ ახდენს გავლენას დვინის ფერმენტაციაზე. კომბინირდება ბევრ ინსექციციდებთან. შესხეულებათა შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს 10-12 დღეს.

3. კუპროქსატი (ნუფარმი “გმბე და კო.კ.გ. ავსტრია; ნაკ. “ვირტანი” – რუსეთი) – სუსპენზიური კონცენტრატი, კონტაქტური მოქმედებით განეიტრალებული შაბიამანია თხევადი ფორმით, არ საჭიროებს კირის დამატებას. მისი შერევა შეიძლება მრავალ ფუნგიციდთან და ინსექციციდთან. მოქმედი საწყისია: $\text{CuSO}_4 \cdot 3\text{Cu}(\text{OH})_2 \cdot 1/2\text{H}_2\text{O}$, 345 გ/ლ. 190 გ/ლ. კუპროქსატი სტაბილურია, არ იშლება წვიმების დროს. პრეპარატის ფორმულაცია შედგება 1 მიკრონზე მცირე ზომის უწვრილესი ნაწილაკებისაგან, ამიტომ დამუშავებულ ფართობზე ნაკლები შხამი გროვდება, რაც ეკოლოგიურად გამართლებულია. ეფექტიანია, თუ მას შევასხურებთ მცენარეების დაავადებამდე. იგი გამოიყენება ჭრაქის, პამიდორის და კარტოფილის ფიტოფტოროზის, მაკროსპოროზის, ვაშლის ქეცის, კიტრის პერენისპოროზის, პამიდორის კუთხოვანი ლაქიანობის წინააღმდეგ.

კუპროქსატი ხელს უწყობს გაზის ლერწის მომ-

წიფებასა და ზრდის უინგაგამძლეობას. წამლობის მინისტრის მინისტრობის ინტერვალი 7-10 დღეა – კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

4. ანტრაკოლი (ბაიერი-გერმანია) 70% წყალში ხსნადი გრანულები, მოქმედი ნივთიერება პროპინები – დითიოკარბამატების კლასი, ორგანული – კონტაქტური მოქმედების მაღალეფებითიანი ფუნგიციდია; ვაზის ჭრაქის, კარტოფილის ფიტოფტოროზის და ხეხილში ქეცის წინააღმდეგ. ანტრაკოლს ახასიათებს გვერდითი მოქმედება აბლაბუდიანი ტკიპას, ნაცრის, ჟანგებისა და სიდამპლის (ბოტრიტისი) წინააღმდეგ. ადვილად არ ირეცხება წვიმებით, მოქმედების ხანგრძლიობა 10-12 დღეა კლიმატური პირობების გათვალისწინებით. მისი კომბინირება შეიძლება ბაილეტონთან, ეუპარენთან, ფოლიკურთან, ბულდოკთან და სხვა პესტიციდებთან.

5. ეუპარენი (ბაიერ-გერმანია) – 50% ს.ფ. (მოქმედი ნივთიერება დიხლოფლუანიდი) წარმოადგენს მაღალ ტოქსიკურ კონტაქტურ ფუნგიციდს ჭრაქის, ნაცრის, ქეცის, ფოთლის სიხუჭუჭის, ციტრუსების ანთრაქნოზის, მეჭვჭიანობის, ფიტოფტოროზის, მალხვის და იმ დაავადებათა წინააღმდეგ, რომლებიც ვითარდებიან არახელსაყრელი შენახვის პირობებში (ნაცრისფერი სიდამპლე), აქვს კარგი აკარიიციდული, სწრაფი და ხანგრძლივი მოქმედება, კარგი მიმწებებლობა, ადგილად არ ირეცხება წვიმებით, აგრეთვე, კულტურის მიერ კარგი ამტანობის უნარით.

6. ბაილეტონი (ბაიერი – გერმანია) მოქმედი ნივთიერება ტრიადიმეფონი, სისტემური მოქმედების ფუნგიციდია და ხასიათდება სამნაირი მოქმედებით: 1) დამცავი – ე.ი. პროფილაქტიკური გამოყენებისას იგი ხელს უშლის დასხებოვნებას; 2) სამკურნალო

მოქმედება – დაავადება, რომელსაც ჯერ არ მიუწოდება ენებია ზარალი მცენარისათვის, ნადგურდება; 3) აღმკვეთი მოქმედება – მთლიანად განვითარებული დაავადების გაჩერება, რომელმაც უკვე მიაყენა ზარალი მცენარეს. ბაილეტონი გამოიყენება ნაცრის, ვაშლის და კურკოვნების ქეცის, მარცვლოვანი კულტურების ნაცრისა და უანგის წინააღმდეგ.

7. ტოპაზი (შვეიცარია) – სისტემური მოქმედების, მაღალეფექტიანი ფუნგიციიდია, რომელიც გამოიყენება ვაზის, ხეხილის, ბოსტან-ბაღჩის, ეული (ველური) კულტურებისა და დეკორატიულ მცენარეთა ნაცროვანი დაავადებების წინააღმდეგ. გამოირჩევა მრავალმხრივი უპირატესობით. განსაკუთრებით ეფექტიანია ნაცრის პირველადი ინფექციების დათრგუნვაში, არ იწვევს მცენარეთა ფიტოტოქსიკურობას, გამოიყენება ხარჯვის ძალზე დაბალი ნორმით, ხასიათდება ხანგრძლივი მოქმედების უნარით, აქვს პროფილაქტიკური და სამკურნალო მოქმედება, წამლობის შემცირებული ჯერადობა, მცენარეში იჭრება სწრაფიად, რაც გამორიცხავს წვიმით ჩამორეცხვის შესაძლებლობას. მისი გამოყენება ეკოლოგიურად გამართლებულია.

8. ბულდოკი 2,5% კ.კ. (ბაიერი – გერმანია) – მოქმედი ნივთიერება ბეტაციფლუტრინი, წარმოადგენს ახალ სინთეთიკურ ინსექტიციდს, კონტაქტური და ნაწლავური მოქმედებით. იგი გამოიყენება ვაზის (ფოთლის-ვევიას, ყურძნისა და კვირტის ჭიის), ხეხილის, კარტოფილის, მარცვლოვანი კულტურების და კომბოსტოს მღრღნელი და მწუწნი მავნებლების წინააღმდეგ.

ბულდოკი ხასიათდება სწრაფი მოქმედებისა და ხანგრძლივი დაცვის უნარით (13-15 დღე), მოქმედი ნივთიერების მინიმალური რაოდენობით, მცენარეთა



კარგი ამტანიანობით და გარემოსათვის უვნებლობრივი უზრუნველყოფა
 9. ნეორონი, ეპ 500 გ/ლ (ბრომპროპოლატი, შვეიცარია). პრეპარატი არის მაღალტოქსიკური და ეკოლოგიურად მისაღები სპეციფიკური აკარიციდი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ვაზი, ვაშლი, შავი მოცხარი, ციტრუსები, ბამბა, უოლო) მავნე ტკიპების წინააღმდეგ. მაღალეფებისადმი გამძლე პოპულაციების მიმართ, ახასიათებს ხანგრძლივი მოქმედების უნარი (3-6 კვირა), ნაწილობრივ მოქმედებს მავნებლების კვერცხებზეც. მაღალეფებისადმი ნებისმიერ ტემპერატურაზე, მისი გამოყენებით მცირდება სასარგებლო ორგანიზმების ორგანიზმები, ეფექტიანია ფარულად მცხოვრები (მეგალე) ტკიპების წინააღმდეგ, არ ახასიათებს უარყოფითი მოქმედება თბილსისხლიანებზე, ფუტკრებზე.

ნეორონი მავნე ტკიპების წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნეს სპეციფიკური აკარიციდების მონაცელებით, რომლებიც ეჭუთვნიან სხვადასხვა ქიმიურ ჯგუფს.

10. ნოკდაუნი წ.ს. 480 გ/ლ – გლიფოსატი – საერთო მოქმედების ჰერბიციდია, გამოიყენება სახნავ ნაკვეთებში, ანეულში, ხეხილის ბადებში, ვენახებში, სატყეო მეურნეობებში. ნოკდაუნი ხასიათდება სწრაფი მოქმედებით, მცირე ხარჯვის ნორმით, არ ხდება შთანთქმა მცენარის ძველი ქერქის მიერ. ამიტომ მისი გამოყენება ეფექტიანია ხეხილში, კენკროვანებისა და ვენახის შტამბზე. ანადგურებს ერთ და მრავალწლიან ორლებნიან მარცვლოვან სარეველებს. ნიადაგის ზედაპირზე იშლება სწრაფად მზის ულტრაიისფერი სხივების გავლენით და ნიადაგში მიკროორგანიზმების მოქმედებით, რის გამოც შხამის ნაშთის დაგროვება ნიადაგში გამორიცხულია, ე.ი. მისი გამოყენება

ეპოლოგიურად გამართლებულია.

ნოკლაუნი იხმარება ორგორც დესიკანტი და დეფოლანტი. ნოკლაუნი არ გროვდება წყალში და ტოქსიკური არ არის წყალში მცხოვრები ორგანიზმებისათვის. წყლის გამოყენება შეიძლება ირიგაციისათვის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

დასკვნა

ამრიგად, ვაზის მავნებელ-დაავადებათა და სარეველების წინააღმდეგ წამლობები ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1) მოსვენების პერიოდში (ფოთოლცვენიდან-ვეგეტაციის დაწყებამდე) მოზამთრე სტადიების წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური ღონისძიებებიდან საჭიროა: а) ნიდაგის ღრმა დამუშავება ბელტის გადაბრუნებით, ჭუპრების, მატლებისა და ხოჭოების ხელით შეგროვება და განადგურება; გასხვლა, შტაბის გასუფთავება ამსკდარი ქერქისაგან, ანასხლავის გატანა და დაწვა.

2) კვირტების დაბერვისას, ანთრაქნოზის გავრცელების კერძებში ცისფერი წამლობის ჩატარება 3%-იანი ბორდოს სითხით (ყოველ 100 ლ წყალზე 3 კგ შაბიამანი + 2,8-3 კგ კირი). ამ პერიოდს ემთხვევა ვაზის ფოთოლხვევიასა და ბუკნას (კვირტის ჭიის) მატლების გამოსხვლა. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ გამოიყენება ბულდოკის ან კარატეს 0,05%-იანი, შერპას ან დეცისის 0,04-0,06%-იანი ან კონფიდორის 0,02-0,03%-იანი ხსნარები (შესაბამისად, ყოველ 100 ლ წყალზე + 50 მლ; 40-60 მლ; 20-30 მლ ინსექტიციდი (ერთ-ერთი ორმელიმე მათგანი).

3) ყლორტებზე 2-3 ფოთოლის განვითარებისას ვაზზე



ტკიპების (კვირტის, გალებიანი და აბლაბუდობული გავრცელების შემთხვევაში ვენახი უნდა შეიწამლოს ომაიტის ან ნეორონის, ბი-58-ის ან ზოლინის 0,2%-იანი ხსნარით. ყოველ 100 ლ წყალზე საჭიროა 200 მლ. ერთ-ერთი რომელიმე მათგანი. ეფექტიანია, აგრეთვე, კარატეს (100 ლ წყალზე + 30-40 გ) ან მოტაკის გამოყენება (100 ლ წყალზე + 160-240 გ).

4) როცა ფოთლის სიგრძე 15-20 სმ-ია და ყლორტზე განვითარებულია 4-6 ფოთოლი, ჭრაქისა და ანთრაქნოზის წინააღმდეგ წამლობა უნდა ჩატარდეს, რიდომილი გოლდ მც 2,5%-იანი (2,5 კგ/ჰა), კურზატის 0,3%-იანი (3 კგ/ჰა), მიკალის 0,3-0,4%-იანი (3-4 კგ/ჰა), ან დელანის 0,2%-იანი (2 კგ/ჰა) ხსნარით, შესაბამისად ყოველ 100 ლ წყალზე საჭიროა: 250 გ რიდომილი გოლდ მც, კურზატი - 300-350 გ მიკალი - 300-350 გ ან დელანი - 200 გ.

5) ყვავილობის წინ, კოკრების განცალკავების ფაზაში წამლობა ჩატარდება კომბინირებულად სამი მავნე ორგანიზმის წინააღმდეგ: ჭრაქის, ნაცრისა და ყურძნის ჭიის მიმართ საჭიროების შემთხვევაში. ჭრაქის წინააღმდეგ გამოიყენება რიდომილი გოლდ მც, კურზატი ან მიკალი; ნაცრის წინააღმდეგ: ბაილეტონი (100 ლ წყალზე 20 გ), ვექტრა (100 ლ წყალზე - 30 გ.), ფოლიკური (100 ლ წყალზე - 250 გ) ან ტოპაზი - (100 ლ წყალზე 15-25 მლ). კარგია აგრეთვე საპროლი (100 ლ წყალზე - 10-15 გ) ან დაფქვილი გოგირდი 20-25 კგ/ჰა.

ყურძნის ჭიის I თაობის წინააღმდეგ რეკომენდირებულია: ბულდოკი 0,04-0,05%-იანი, კარატე ან შერპა - 0,03-0,04%-იანი ან დეცისი 0,04-0,06%-იანი ხსნარი. შესაბამისად ყოველ 100 ლ წყალზე საჭიროა: ბულდოკი 40-50 მლ, კარატე ან შერპა - 30-40 მლ, დეცისი - 40-60 მლ.

6) დაყვავილებისთანავე - ჭრაქის და ნაცრის წინააღმდეგ 1,5%-იანი პორდოს ხითხის, 0,7-0,8%-იანი ხპილენის ქლორეანგის, კუპროქსატის 0,3-0,5%-იანი ან 0,3%-იანი ანტრაკოლისა, ნაცრის საწინააღმდეგო იგივე პრეპარატების ერთ-ერთი რომელიმე კომბინირებული ნაზავით, რაც წინა წამლობაში იყო მითითებული. ყოველ 100 ლ წყალზე საჭიროა: შაბიამანი 1,5 გბ, კირი 140-150 გ, ხპილენის ქლორეანგი 700-800 გ, კუპროქსატი - 300-350 გ, ანტრაკოლი - 250-300 გ.

7) ისვრიმობის პერიოდში ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ იგივე პრეპარატები გამოიყენება, რაც წინა წამლობაში იყო ხმარებული. ხიდამპლეების წინააღმდეგ წამლობა ჩატარდება საჭიროების მიხედვით ანტრაკოლის 0,2%-იანი და საპროლის 0,1-0,15%-იანი კომბინირებული ხსნარით ან ეუპარენის 0,8%-იანი ხსნარით. ყოველ 100 ლ წყალზე შესაბამისად საჭიროა: ანტრაკოლი 200 გ და საპროლი 100-150 გ; ეუპარენი - 200 გ.

ყურძნის ჭიის II თაობის წინააღმდეგ, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება იგივე პრეპარატები, რაც I თაობისთვის იყო ხმარებული.

8) სრული ისვრიმობის ფაზაში (მტევნების შეკვრა) - ივნისის ბოლო ივლისის I-დეკადაში წამლობა ტარდება ჭრაქის, ნაცრისა და ხიდამპლეების წინააღმდეგ, იგივე პრეპარატების კომბინირებული ნაზავით, რაც წინა წამლობაში იყო გამოიყენებული, ხოლო ვაზის ფქვილისებური ცრუფარიანას მასობრივი გავრცელების შემთხვევაში, 2-3 დღის შემდეგ, ცალკე შესურდება ზოლინის ან აქტელიკის 0,2%-იანი ხსნარით (ყოველ 100 ლ წყალზე + 200 მლ ზოლინი ან აქტელიკი). შეიძლება გამოიყენებული იქნას აგრეთვე ბი-58, ანთოო, ან კონფიდორი. შესაბამისად ყოველ 100

ლ წყალზე საჭიროა: ბი-58-250-280 მლ, ანთო-120-400 მლ, კონფიდორი-20-30 მლ.

შემდეგი ერთი ან ორი წამლობა ტარდება ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ 2%-იანი ბორდოს სითხისა და 1%-იანი კოლოიდური გოგირდის კომბინირებული ნაზავით (ყოველ 100 ლ წყალზე შაბიამანი-კირი 2 კგ + 1 კგ კოლოიდური გოგირდი); ნაცრის ძლიერი გავრცელების შემთხვევაში 2-3 დღის შემდეგ შესხურებიდან უნდა ჩატარდეს გოგირდის შეფრქვევა - 20-25 კგ/ჰა.

10) სარეველების წინააღმდეგ მსხმოიარე ვენახებ-ში ფესვებზე მოქმედი პერბიციდი კარგარდი (18-10 კგ/ჰა) შეტანილი უნდა იქნას შემოდგომაზე, ხოლო მწვანე მასაზე მოქმედი პერბიციდები: რაუნდაპი (8-10 კგ/ჰა), ნიტოსორგი (8-10 კგ/ჰა), ფოსფატი, უტალი (8-10 ლ/ჰა) ან ნოკდაუნი (2-6 ლ/ჰა). შესხურება უნდა ჩატარდეს, როცა ნორჩი სარეველების სიმაღლე 10-15სმ-ს მიაღწევს, დაახლოებით მაისის II-III დეკადა. სარეველების არათანაბარი ზრდის პირობებში, პერბიციდები შეიძლება შესხურებული იქნას ორჯერადად (მშრალ პირობებში), სარეველების პერბიციდებით დამუშავება უკეთესია მცენარის ინტენსიური ზრდის პირობებში და იგი შეიძლება გაგრძელდეს მაისიდან-აგვისტომდე.

პერბიციდების გამოყენება 1-4 წლიან ახალშენ ვენახებში დაუშვებელია.

გამოყენებული დიტირატურა

1. ირ. ბათიაშვილი, გ. დეკანოიძე. ენტომოლოგია, თბილისი, 1974 წ.
2. ი. რუხიაშვილი. კახეთში გავრცელებული ვაზის მავნებლები და მათთან ბრძოლა - თბილისი, 1963 წ.
3. ა. ნაცარაშვილი. ვაზის ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა - თბილისი, 1972 წ.
4. ა. გეგენავა. მცენარეთა ქიმიური დაცვა - თბილისი, 1981 წ.
5. ლ. ყანჩაველი. სასოფლო-სამეურნეო ფოტოპათოლოგია - თბილისი, 1987 წ.
6. ჩ. ჩხარტიშვილი, ბ. ბექაური, რ. სანიკიძე. სიახლე ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების საქმეში - თბილისი, 1984 წ.
7. Ж. Лифон, П. Куйо. Вредители и болезни винограда - Москва, 1959 г.
8. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო მცენარეთა დაცვის სამსახური. საქართველოში 1999-2003 წლებში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების, მცენარეთა დაცვის საშუალებების და ზრდის რეგულატორების ხია - თბილისი, 1999 წ.

შესავალი	3
გაზის მიწისქვეშა ორგანოების მავნებლები	10
საძირე ვაზის სადედეში და სანერგეში	
გავრცელებული მავნებლები	12
გაზის მიწის ზედა ორგანოების	
მავნებელ-ავადმყოფობანი	16
ვაზის ავადმყოფობანი მსხმოიარე გენახებში	22
ფურმნის სიდამპლები	29
სანერგეში გავრცელებული ავადმყოფობანი	33
პერბიციდების მნიშვნელობა მევენახეობაში	36
პესტიციდების მოკლე ანოტაცია	38
დასკვნა	43
გამოყენებული ლიტერატურა	47

უფასო

ფერმერის ბიბლიოთეკა

«სასოფლო-სამეურნეო კვლევა დანერგვა-კონსულტირება და სწავლება» პროექტის ფარგლებში პერიოდულად გამოიცემა თანამედროვე მეცნიერულ მეთოდებზე დაფუძნებული პრაქტიკული ხსიათის ჩავალისაც ცენტრული სასამართლოს მეცნიერებების სამინისტროს პროდუქციის და სურსათის წარმოების სხვადასხვა დარღვევი. მათი ავტორები არიან შესაბამისი დარგის მეცნიერ-პრაქტიკოსები.

იმედი გვაქვს, რომ ფერმერის ბიბლიოთეკის შექმნის პირველი ცდა დაეხმარება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით დაკავებულ პირებს სასურველი შედეგების მიღწევაში მინიჭალური დანახარჯებით.

თქვენი შენიშვნები, სურვილები და წინადადებები შეგიძლიათ მიაწოდოთ პროექტის შემსრულებელ ძალითად ორგანიზაციას:

ინფორმატიკისა და

ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტი
380008 თბილისი, ვ. ბერიძის ქ., 6

ტელეფონი/ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

(995 32) 93 28 35

leri@caucasus.net

Institute of Informatics
and Telecommunication

6 V. Beridze St., 380008 Tbilisi, Georgia

Phone/ Fax

E-mail

გამოცემა დაუნანანსებულია საქართველოს მთავრობისა და მმოფლიო ბანკის ეროვნულივი პროექტისთ სასოფლო-სამეურნეო კვლევა, დანერგვა-კონსულტირება და სწავლება».

Publication has been financed by joint project of Georgian Government and World Bank "Agricultural research, extension and training"

გამოცემლობა „აგროინფორმი“
Edition "Agroinform"

FARMER'S LIBRARY

Within the frames of the Project on "Agricultural research, extension and training", periodic publications of practical recommendations, worked out by modern scientific methods, on production in various branches of agricultural and food industry will be released. Their authors are scientists of the corresponding disciplines.

We hope that this first attempt of establishing farmer's library will assist persons engaged in agricultural production to achieve desirable results at least cost.

Feel free to send your notes, wishes and recommendations to project managing organization